



გეორგიული ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

პროზა

633
1952

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

„LE DESTIN DE LA GÉORGIE“

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16^e). Tél.: Passy 75-35.

ჯანრი კაპი

№ 11

თ ბ ბ ე რ ვ ა ლ ი — 1952 — FÉVRIER

№ 11

უ ნ ი ნ ა ა რ ს ნ ი :

1. კ. სალია — ჩვენი მთლიანობისათვის; თეთრი გიორგის განცხადება ანტიბოლშევიკურ ფრონტში მონაწილეობის შესახებ.
2. გრიგოლ რობაქიძე — ენგადი (დასასრული).
3. პროფ. მიხ. წერეთელი — „მიმცემი“ და „მიმღები“.
4. ექ. გ. კობახიძე — მშვენიერი ქართული ქალი და მდიდი ქართლისა.
5. მ. მ. თარხნიშვილი — ქართული ხელოვნების ნაშტი ევკლიტეში.
6. ე. ს. ფეიქრიშვილი — ქართული „დიდახე“ და „პალხმოთა და ჰასოთწერათათვის ჰიზართა ჰენისათა“.
7. ირ. ოთხმეზური — სიმ. წყნეთლის გარდაცვალების გამო.
8. მეგობარი — მოსუე შანიძე.
9. ბიბლიოგრაფია.
10. პარიზის ქართულ სათვისტომოში.
11. ქრონიკა.
12. განცხადებანი.

ჩ ვ ე ნ ი : მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

თეთრი გიორგის განცხადება ანტიბოლშევიკურ ფრონტში მონაწილეობის შესახებ

ქართული ემიგრაციის ცდა დღითგან მისი არსებობისა სრული მთლიანობის მისასწევად დღემდე განუხორციელებელი დარჩა. ხელისშემშლელი მიზეზთა შორის ერთი უმთავრესთაგანია მსოფლიოს რამოდენიმე მოპირდაპირე იდეოლოგიურ ბანაკად დაყოფა იყო; იმედი და მზაც სხვა და სხვა არსებობდა, რაცია, ცხადია ხელს არ უწყობდა ჩვენი გაერთიანების საქმეს.

ფაშიზმის სიძულვილით გამოწვეულმა დემოკრატიულ-კომუნისტურმა კავშირმა ფაშიზმი დაამარცხა, ხოლო როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უცნაური კოალიციის რღვევა მისი გამარჯვების პირველ დღითგანვე დაიწყო და მუშინდელი

მოკავშირენი დღეს სამკედრო-სასიცოცხლო ჭიდილისათვის ემზადებიან.

შესამე ძალის, ფაშიზმის ელიმინაციის შემდეგ, ჩვენთვის არჩევანის საკითხიც გამარტივდა. მსოფლიო არენაზე დარჩენ მხოლოდ წითელი რუსეთი და დასავლეთის დემოკრატია ამერიკის ხელმძღვანელობით, რომელთა შორის შესაძლებელია ხვალი გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართოს. ასეთი საპასუხისმგებლო მომენტისათვის, რომლის მსგავსი შეიძლება არასოდეს არ დაგვდგომია, ჩვენ მზად არა ვართ. ნაცვლად იმისა, რომ შეერთებული შტატებით, მდგომარეობის ჯეროვანი აწონ-დაწონვით და მოფიქრე-

ბულად, ერთად ვმოქმედებდეთ, ერთმანეთისა-
დმი სიძულვილს დაუჩრდილავს უზენაესი ერო-
ვნული მოვალეობა ჩვენი და ძვირფასი დროს
უშინაარსო შინაური დავაში ვხარჯავთ.

ყველას გვიხსოვს თუ როგორ მოუშზადებელი
შევხდით მეორე მსოფლიო ომს. უპასუხისმგებ-
ლოთა და ავანტიურისტებს ფართო ასპარეზი ჰქო-
ნდათ გაშლილი სამოქმედოთ. ბევრი მსხვერპ-
ლიც გავიდეთ უმიზნოთ, რომლის აცდენა ადვი-
ლად შეიძლებოდა ერთი ავტორიტეტული ხელ-
მძღვანელობა რომ გეყვალადა.

მართალია, არსებობს ერთი მტრად მნიშვნე-
ლოვანი გაერთიანება „ქართული ეროვნული
საბჭოს“ სახელწოდებით, მაგრამ სამწუხაროთ
ის სრული არ არის. მასში მონაწილეობენ სოც-
დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქცია, ს-
ფედერალისტები, თეთრი გიორგელები და უპა-
რტიონი, ხოლო აკლია ეროვნულ-დემოკრატი-
ული პარტია, რომელმაც შემოიკრიბა თავის
ირგვლივ რამოდენიმე პირი და ცალკე მოქმე-
დებს. ჩვენ ასეთი მდგომარეობა მავნედ მიგვაჩ-
ნია, რაც საჭარბოდ აღენიშნეთ თავის დროზედ.

მსოფლიოში მომხდარ უდიდეს ცვლილებათა
შემდეგ ჩვენ არ გვგონია, რომ ვინმეს არ ესმო-
დეს პოლიტიკური მუშაობის ახალი პირობები,
ეიწრო პარტიული თვალსაზრისით იყოს შეპყ-
რობილი და არ სწამდეს, რომ ერთად-ერთი სა-
ზრუნავი საგანი არის დღეს საქართველოს უფ-
ლებების დაცვა და მისი სუვერენობის აღდგე-
ნისათვის ბრძოლა.

შეიძლება არის რაიმე განხრა ჩვენი ერის უფ-
ლებების დაცვის საკითხში, რომელიც ხელს
უშლის გაერთიანებას? ვიცი რომ ასეთს რას-
მეს დღემდე ადგილი არ ჰქონია და ვიმე-
დოვნებთ არც მომავალში ექნება.

მამასადამე, ჩვენი დაკვირვებით არავითარი
გადაუღასნავი დაბრკოლება არ არსებობს შეთა-
ნხმების მისახწევად.

დღევანდელი მდგომარეობა იმპერატიულად
მოითხოვს ჩვენგან მოვალეობით დაუყონებლივ
მთელ ეროვნულ ძალთა მობილიზაციას. ეს არის
სურვილი მთელი ქართველობისა და ამას ანგა-
რიში უნდა გაუწიონ პოლიტიკური პარტიათა
მესვეურებმა.

ხოლო, მიუხედავად საერთო სურვილისა და
ცდისა, თუ უკუღმართ და დამშლელ ელემენ-
ტების ანკესზე წამოვეგეთ და მთელ ქართველ-
თა გაერთიანება ერთ ორგანოში არ მოხდა, ერ-

თი დებულება მაინც უნდა იყოს ყველას მერ
სავალდებულოდ აღიარებული და დაცული,
როგორც ეს პროფ. მიხ. წერეთელმა სთქვა:
„არც ერთს საქართველოსათვის მებრძოლ
ჯგუფს არ უნდა ჰქონდეს იტვი, რომ მხოლოდ
გულწრფელად არ იბრძვის მისთვის. მათი მხო-
ლოდ გზა და საშუალება განასხვავებს ურთი-
ერთისაგან და არა მიზანი, და ამიტომ მათ აზ-
რითა სხვა და სხვაობამ მათ შორის მტრობა და
სიძულვილი არ უნდა გამოიწვიოს, ვინაიდან
სიბოროტეს და სიძულვილს ქვეყანა არაოდეს
აუღმენებია“.

ემიგრაციის წინაშე დღეს ერთი დიდი საკით-
ხი დგას, რომლის არასწორ გადაჭრას შეიძლე-
ბა ჩვენთვის საბედისწერო შედეგი მოყვეს. ეს
არის ერთ-ერთი ამერიკული ორგანიზაციის
მიერ განძრახული აქტიბოლშევიკური ფრონტში
რუსების შეყვანა და მათთან ჩვენი თანამშრომ-
ლობა.

ჩვენ საჭიროდ დავინახეთ აქ ადგილი დაუთ-
მოთ ამ საკითხის შესახებ თეთრი გიორგის მო-
ძრაობის განცხადებას, რომელიც ვიმედოვნებთ,
გამოხატავს თანამემამულეთა დიდი უმრავლე-
სობის აზრს და რომელსაც შემოხსენებულნი ორ-
განიზაციის წარმომადგენელი იცავს ქართულ
ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

1. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-
ლიკა“ ცნობილი იურიდიულად მრავალ სახელ-
მწიფოთა და თვით საბჭოთა რუსეთის მიერ, და-
პყრობილ იქმნა 1921 წ. ვერაგულად თავს-
დასხმით იმავე რუსეთისაგან, რომელმაც ამით
მოსპო დამოუკიდებელი სახელმწიფო საქრთვე-
ლო და ამასთანავე გაამეფა იქ წეს-წყობლება
მონობისა და ტერორისა.

2. ქართველმა ერმა პირველი დღითგანვე მი-
სი დაპყრობისა აღმართა დროშა ბრძოლისა რო-
გორც პოლიტიკურ-ეროვნული, ისე სოციალუ-
რი დამონების წინააღმდეგ და მრავალ წე-
ლთა ბრძოლაში სისხლით დაიცალა იგი, შესწი-
რა რა საუკეთესო ნაწილი თვისი წმიდა საქმეს,
სახელმწიფოსა და თავისუფლების აღდგენისა.

3. უცხოეთში გადმონვეწილ თვის კანონიერ
მთავრობას და პოლიტიკურ მებრძოლთ მან გა-
მოვატანა თან იგივე დროშა თვისი, რომელიც
აქ უნდა გვეტარებინა განსაგრძობათ მისი ბრ-



ძოლისა ორი მიზნის მისახწევად: უკუ - გდებად რუსეთის ძალადობისა და აღდგენად საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა, და გაუქმებად ბოლშევიზმისა მისს მიწაზედ და თავისუფალი სოციალური წეს - წყობილების კვლავ დასამყარებლად.

4. უცხოეთში ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია იბრძოდა დღემდე ჩვენი კანონიერი მთავრობის მეთაურობით, რომელსაც ხელთ ეპყრა ქართველი ერისაგან მიცემული დროშა, ყველა იმ საშუალებით, რომელიც მოეპოება სამშობლოს გარეთ მყოფთ სამშობლოსათვის საბრძოლველად, და ყველა იმ ერთა პოლიტიკურ მებრძოლებთან ერთად, რომელთაც ეწვია ჩვენზე ბედი უცხო სახელმწიფოს მიერ დაპყრობისა და დამონებისა.

5. ხოლო დღეს დადგა საკითხი ჩვენი თანამშრომლობისა ემიგრანტ რუსთა პოლიტიკურ პარტიებთან, რომლის არა - სწორ განჭვრეტას შეუძლია საფუძვლით წაართვას აზრი მთელს ჩვენს აქამდე მოქმედებას ემიგრაციაში და გაუმართლებელ ჰყოს თვით არსებობა ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა.

6. არც ერთი იმპერია არ შეეღწევა არც ერთს თვისს ნაწილს, თუ არა იძულებული თვით დაპყრობილ ერთა ბრძოლით, ომით ან სხვა გარემოებით. ყოველ იმპერიას თვისი „იმპერიალისტიური“ მიზნები აქვს და ამ მიზნების მისწევისათვის სჭირდება მას ყოველი კუთხე თვისი ტერიტორიისა. ამიტომ უფლებანი იმ ერთა, რომელთა მიწები მოქცეულია მისს საზღვრებში, ან სულ არ არიან ცნობილნი მისგან. ან მხოლოდ ნაწილობრივ, მაგრამ უფლება მათი სახელმწიფოებრივი არსებობისა არაოდეს.

7. ანტიბოლშევიკური რუსული პოლიტიკური აზროვნება ამ მხრით სრულიად არ განსხვავდება ბოლშევიკურისაგან, განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ბოლშევიკებს სურთ მათ მიერ შექმნილი ბოლშევიკური რუსული იმპერიის დაცვა და კიდევ გადიდება, ხოლო ანტიბოლშევიკ - რუს იმპერიალისტებს იგივე იმპერია ბოლშევიკების მიერ განდიდებული, ხოლო უბოლშევიკით.

8. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი კი არის რუსეთის მოწოდებისაგან დახსნა საქართველოსი და აღდგენა მისი სახელმწიფოსი, აგრეთვე უბოლშევიკით, მაგრამ ურუსოდ.

9. ჩვენ და რუსების ამ მიზანთა წინააღმდეგობის მოსპობა და შექმნა ჩვენი თანამშრომლობის საფუძვლისა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვექნება ერთი და იგივე მიზანი ბოლშევიზმის დამხობისა, ხოლო არც ერთ საკითხში, რომელიც საქართველოს სუვერენობის აღდგენას შეეხება, ჩვენ შორის დავა არ იქმნება: ე. ი. თუ რუსები სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას მართლად, ცხადათ და საქვეყნოდ, აგრეთვე საბჭოთა რუსეთის საზღვრებში მოქცეულ სხვა ერთა უფლებას მათი პოლიტიკური ბედის გადაწყვეტისა მათივე ნებით — მაშინ ჩვენთვის მისაღებია ყველა ანტიბოლშევიკური ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება და მოქმედება რუსებთანაც ერთად, ექმნება რა თანასწორი უფლება ყველა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ერის წარმომადგენელს.

10. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს აქ მყოფი მთავრობის მიერ არ იქნება გადადგმული არც ერთი ნაბიჯი, რომელიც მის თვით - გაუქმებას მოასწავებს. მთავრობა მთავრობად უნდა დარჩეს, საქართველოს კანონიერ მთავრობად და მის მიერ რაიმე პრაქტიკული მოსაზრებით რუსების ისეთი წინადადებათა მიღება, რომელიც კანონიერებას ანდიან მას, ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის დროშის კანონიერ მპყრობელთა დაცემას ნიშნავს.

11. ვერც ერთს ორგანიზაციაში, ვერც უცხო სა და ვერც ქართულში, ჩვენ მონაწილეობას ვერ მივიღებთ, თუ იგი არ ხელმძღვანელობს შით, რაც ჩვენ მიერ ზემოთ არის აღნიშნული.

12. დასასრულ მოგუწოდებთ ყველა პოლიტიკურ მებრძოლთ ჩვენი ემიგრაციისა საქართველოს დამოუკიდებლობის დროშის ირგვლივ შემოკრბენ ბრძოლის განსაგრძობად.

გვეპყრას მტკიცე ხელით ეს დროშა, შეუბღალავი და ჯერ არვის და არაფრის წინაშე დახრილი!

კ. სალია

„ბედი ქართლისა“ არ არის პოლიტიკის ორგანო, არც კუთვნილება რომელიმე პარტიისა. თეთრი გიორგის განცხადება შეეხება საქართველოს უფლებების დაცვის საკითხს. ამიტომ დაუთმეთ მას ადგილი.



მ ნ ზ ა ლ ი

(დასასრული; დასაწყისი „ბ. ქ.“-ს მეთათუ რეველში.)

მე მეგონა მგელიკამ იხუმრა, ხოლო სადღაც ერთს კუთხეში ჩემი თვითცნებისა მწამდა მისი ნათქვამი, ანუ უკეთ: მსურდა მართალი ყოფილიყო მის მიერ თქმული. ვსაზრობდი: რაც მგელიკამ გადმომცა, არც ისე საკვირველი უნდა ყოფილიყო. პრიმიტივ ხალხთა შორის ცნობილია ხომ, რომ სტუმარს ერთი ღამით მშვენიერ ქალწულს მიუყვანენ ხოლმე. შესაძლოა ხევსურეთშიაც ასე იქცევიან, ვფიქრობდი გაზარებთ.

ღამის გასათევად, მოწორებით ჩემს თანამგზავრთაგან, მერვე საერთულში ავირჩიე ერთი ალაგი. საწოლი მილაგებული ფიცრები იყო უბრალო. იქ იწყო ტყავი ცხვართა და ჯიხვთა, აგრეთვე ჩალაც. ჩემი სამგზავრო საბანი არ ამიტანია. მაგრამ რას არ გაუძლებ, იდეც ტკბილსა და მათრობელს მოელი!

მოველოდი მზექალას და მაგონდებოდა სიტყვები ჰეროდოტისა: „ყოველმა ქალმა იმ მხარისა, ბაბილონისა, ერთხელ თავის სიცოცხლეში უნდა შესდგას ფეხი აფროდიტეს ტაძარში, რათა აჩუქოს თავისთავი სასიძვოდ უცხო კაცს. საწმინდარის ვალაყანა დაყოფილია იქ ნაირნაირი ნაქსოვნაგრეხით. უცხონი ელიან იქ და ირჩევენ თავისთავის ქალს, რომელიც მათ მოეწონებათ. უცხო კაცი ფულს გადაუფლებს არჩეულს და წაიყვანს მას ვალაყნიდან ერთად ღამისგასათევად. ამ დროს მან უნდა სთქვას: „ვუხმობ ქალმერთს მელიტას“. რაც უნდა მცირე იყოს ფული, ქალი უარს ეერეტყვის კაცს, რადგან მიცემული წმინდაა: ასეთია კანონი. ქალი მიჰყვება მსურველს, არჩევანი არა აქვს მას“. ჩემი საძინებელი ოდნავდაც არ ჰგავდა აფროდიტეს ტაძარს, მაგრამ ხევსურ გოგონას მოლოდინში მე მართლაც ვიგულოვებდი ჩემ თავს „უცხოდ“ ჰეროდოტეს გაგებით. ღამაში არ სჩანდა. ღრმად ვუკვირდებოდი ვადმოცემას ძველი მეისტორიისა. მეძაობას არ უნდა ჰქონოდა აქ ადგილი, რადგან თვით მეფის ასულთაც, რომელთაც ცხადია არ დასჭირდებოდათ თავის სხეულის გაყიდვა, უნდა განეელოთ ეს რიტუალი აუცილებლად. გარდა ამისა, მიცემულ ფულს იღებდა ქალი არა როგორც სასყიდელს, არამედ როგორც საჩუქარს ღმერთქალისათვის. შესაძლებელია აღვირახსნილი ავბორცობა იყო აქ. მაშინ აუხსნელი რჩება: თვითონ რად არ ირჩევდენ ქა-

ლები კაცებს. არა, აქ სხვა რამ უნდა ყოფილიყო დამალული, ვფიქრობდი გაკვირვებული. ვამახსენდა ახსნა ამ საიდუმლოსი, რომელსაც იძლევა ერთი ჩვენი დროის მწერალი, მკოდნე ძველი მისტერიებისა. იგი ამბობს: ყოველი კაცი თუ გინდ ერთხელ თავის სიცოცხლეში უნდა შეუერთდეს ქალს და ყოველმა ქალმა თუ გინდ ერთხელ თავის სიცოცხლეში უნდა განიზიაროს კაცთან შეერთება — არა იმისთვის, რომ ჰპოვონ. მაშ რისთვის? მისთვის, რომ ერთი წუთით მინც ვამოეყონ რკალდენას დაბადებისა და სიკვდილისა და ამ ფხით იგემონ მარადობა თუ უკვდავება. ახსნა — გულისხმიერი, ხოლო არც ისე ნათელი. მოველოდი მზექალას და ვეძებდი სხვა ახსნას. შესაძლოა სხვა მოვლენასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე, ვფიქრობდი მე. ვინ იცის, ეგებ ბაბილონის ქალები „უცხოს“ ღვთიურ არსად იგულოვდნენ და სიძვას მასთან საკრალურ აქტად. ნდობა უცხოურის, სხვაურის — ეს ხომ მოჩინა ადამიანის ბუნებისა. დიახ, თვით ღმერთის არსებობაც კი. ღმერთი არის თვითმქმნელი. ყოველ წუთში თვითქმნისა იგი რასაკვირველია „იგევა“, ხოლო თანვე „სხვაც“. ეს „სხვა“ ვლინდება როგორც „უცხო“, ხანდავან როგორც მოშულარი თითქმის. აქ მარხია პირველსაიდუმლო. ყოველი არსი ისწრაფვის სხვაურისა ანუ უცხოურისაკენ თვითქვენიში. შეიძლება აქ იმალება — განვარდობდი ფიქრს — საიდუმლოებაც ევზოვამიისა. ხევსურეთში, მაგალითად, აკრძალულია დაქორწინება ერთსადაიმავე თემში. კიდევ მეტი: იქ ერთსადაიმავე სოფელში დაქორწინებაც სიძველად ითვლება. უეცრად ჩემს მოფიქრებაში ქართული სიტყვა შემოიჭრა: „უცხო“ და მისგან წარმომდგარი ზედმესრული: „საუცხოვო“. ნიშნავს ხომ „საუცხოვო“ სასურველს, სანატრელს, მშვენიერს. როგორ არ გწადდეს მამ შეყრა „უცხოთან“, თუ უკანასკნელი „საუცხოვოა“?

ველოდი მზექალას და ვგონებდი თავს „უცხოდ“ — საშიშარია და თანვე ნეტარიც ამის წარმოთქმა — ღვთიურ არსად. მაგრამ მზექალა არ სჩანდა. იხუმრა მგელიკამ? დრო მიდიოდა. ანაზღვრულად შრიალი გაისმა. გაიღო კარი. ნუთუ ისაა, სასურველი? გული ამოხლტომას ლამობდა. ვცახცახებდი და ვნატრობდი. წელი,



ძალსრული ბიჯით მომისახლოვდა იგი. შეჩერდა. წამოვდგეთ. ქალაქი მომესალმა მშვიდი დაბალი ხმით. პასუხად რაღაც წავიბუტბუტე. გავიდა ორიოდე წუთი. მხეჭალა ჩამოჯდა ლოგინზე. საღუმდა, ჩემგან რაღაცას ელოდა ალბათ. მე დავიბენი. ბოლოს მიწვა იგი სამოსელგაუხდელი. მეც მივწევი. მის გვერდით; თანვე ვანიშნე, ტანსაცმელი გაეხადა. ვანზე გაიწია. შეგონა, რცხვენა, მოედო. მოვიკრიბე ძალა და ვცადე, მე თვითონ გამეხადა მისთვის საცმელი. იგი ავარდა კუშტად. შევჩერდი; ვეღარ გავიგე რა ლამაზი ღვივოდა.

„გინდების ჩემ სწორფერი იყო?“ მომმართა მან ბოლოს.

მე არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა პასუხად. სწორფერი? მნიშვნელობა ამ სახელდებისა ჩემთვის უცნობი იყო. ვიცოდი მხოლოდ, რომ იგი ორი სიტყვისაგან შესდგება: „სწორი“ და „ფერი“. არ შევეკითხე, თუ რას ნიშნავდა „სწორფერი“. უნებლად მივუგე: „მსუჯის“.

ქალი გაიშხვართა ლოგინზე ჩემს გასწვრივ. მე სუნთქვა მეღეოდა. ქალი მომეხვია შღვივანი და შუბლი გადამიკოცნა. მოვხვიე ორივე ხელი მის თავს და ჩავეკონე მოწყურებული მის ხალას ტუჩებს. იგი მნებდებოდა. ხოლო როცა ჩემსკენ მოვიზიდე მისი ათქვირებული ტანი, იგი უფრო კუშტად შეირხა კვლავ და მომეგება მკაცრად:

„ეგ არ იქნების! ჩვენ ხომ სწორფერნი ვართ!“
 გონება დავკარგე. ყველაფერი, მხოლოდ „ის“ არა — როგორ უნდა გამეგო ეს?

მე ვიხვევოდი მას და ვკოცნიდი, იგი ტანს მეტმასნებოდა.

რაიმე ჯადოსნობით რომ შესაძლო გახდეს: რომელიმე ქალმგობარი კლეოპატრასი სატურფოდ მოეკლინოს ჩვენი დროის კაცს, ეროსს მათ შორის სრულიად სხვა სუნთქვა და სუნელი ექნება. გზნების შინაგანი დაცედა იქნება სხვანაირი. ხევსურის გოგონა ასეთს სატურფოს მაგონებდა. ხევსურეთში არ იციან დრო: იქ დღესაც ისე ცხოვრობენ როგორც ათასი წლების წინათ. მხეჭალა იზრდებოდა ჩემს მკლავებში და ღვივდებოდა ვითარ უხანო ევა. მკერდი მკერდს ეხებოდა აგზნებული. ქალი იხევდა ტანით, თუმცა მხურვალე ტუჩებს არ მაცილებდა. სხეული მისი კლდე იყო თითქო, შეუცველი და ასევე შემცველი. კლდიდან წყარო ნაკადობდა: მისი ზაგე, რომლისაგან კოცნას ესუამდი მათრობელს. იგიც თვრებოდა ჩემი კოცნით. ხოლო

ორივე თავს ვიკავებდით ამ მწველ სიტკბოში: საქრალურ გავლენული ზღვარი არ გადაგვილახავს.

ალიონზე შეუმჩნეველად მიმატოვა უმანკო ბაკანტმა.

ვერა გამეგო რა. ხევსურის ასული არ მრგები ისე, როგორც ბაბილონის ქალი „უცხო“: ჩემი ახსნა საიდუმლოსი ფუჭი გამოდგა. ეხლა სხვა მხრით იკვლევდა გზას ჩემი ფიჭვი. არ სურვეყოფდი, რომ წინა დამით განცდილი დანაშთია ძველისძველი რიტუალისა, უცხო სტუმარს დამით ქალწულს რომ მიჰვერიდნენ ხოლმე; ხოლო ეს დანაშთი აქ, ხევსურეთში, გადასხვაგვებულად მეჩვენა ეხლა. ვინ იცის, მესაძლოა ხევსურებმა ერთს დროს რაინდული წესი დანდევს სიყვარულისა, საცა უკანასკნელი „ტრფილი“ იყო მხოლოდ და არა „სიძვა“, რომლის გავლენით ძველი, ხორციელი „მხეხვედრა“ ქალისა და ვაჟის სიმბოლიურად იქცა. ვსაზრობდი ასე, ამას ერთი რამ ამგარებდა თითქო. გავიფიქრე: შეიძლება მგელიკას ცდა უნდოდა ჩემი, შევძლებდი თუ არა მე როგორც მძანდაფიცი რაინდულად დამეცვა ზღვარდებული. ასეთი იყო ეხლა ჩემი ჰიპოტეზი. ხოლო ერთი სუსტი მხარე მასაც ჰქონდა: თუ ეს ასე იყო, მაშინ რად მეტმასნებოდა მხეჭალა ტანს ვნების ასეთი ატეხილობით? საიდუმლო დარჩა მიუხვედრი. გადავსწვებე — მგელიკასთვის მეკითხნა: მაგრამ მას ამისთვის აღარ ეცალა: ერთი მისი მეგობარი მოშულარს სასიკვდილოდ დაეტრა.

ბავშვობაში ხშირად უნდა დამეკლა ხოლმე ქათამი. მარცხენათი ვიჭერდი ფრთებს და ცერით მოვსწვედი თავს: ისე რომ ყელი სჩანდა მხოლოდ. მარჯვენით დანა მეჭირა. ერთი გადასერევა და ქათამი დაკლული იყო. ვგრძობდი რაღაც უსიამოვნოს, მაგრამ ხელი მაინც მარჯვედ მოქმედებდა. თავდასჭრილი ტანი ქათმისა ცახცახებდა კიდევ რამდენიმე წამს განზე დაგდებული, მე კი დანას ვშენდი სისხლისაგან. ერთხელ კი საოცარი რამ განვიცადე. იმ წუთს, როცა თავმომჭრილი ტანი კიდევ ებრძოდა სიკვდილს და ბრძალ ფართქალობდა, უეცრად მოკვეთილი თავი დავინახე: ნისკარტი მოძრაობდა სუნთქვამიღვეული, ქუთუთოები ხამხამებდნენ სიბრმავეს ზიარებულნი. უცნობმა შიშმა დამიარა ტანში. საშინელება ის იყო — ეს

შემდგომ გახდა ნათელი — რომ სიცოცხლე, სხეულში განწყოფელი, სიკვდილს აქ განწყურებით ებრძოდა: ერთი მხრით თავში, მეორე მხრით ტანში. სამინელი სხვათა რამ იყო კიდევ. თავმოჭრილი ტანი აღარ ხლტოდა, თავს სუთთქვა დალეოდა, სიცოცხლის ძალა გამჭირალიყო — ხოლო უკანასკნელი უხილავად თითქო იქვე სუთთქავდა. აქ იყო რაღაც იმგვარი, რაიც ძველად „წმინდა შიშად“ ესახებოდათ მისნებს. მახსოვს: დანა გაეგადე მაშინ ვანზე და გავევარი შორს გიჟივით. ხელებში ცახცახი ამივარდა. იმ დროიდან მიპყრობს შიში დაღვარული სისხლის წინ, შიში ბნელი, არაადამიანური. სისხლში ვხედავ თვითონ სიცოცხლეს: მის არსს, მის საიდუმლოს.

ეს ამბავი მომხდეს მხოლოდ ამისათვის, რომ დაახლოვებით მაინც ნათელეყო, თუ რა არის სისხლი ხევისურისათვის. როცა ხევისურებს უცქერ, ნაჭდევებით სახეზე და ტანზე, მუდამ იარაღასხმულთ და მზადყოფთ შეტევისათვის, გგონია, სისხლი სწყურიათ მათ მხოლოდ. მაგრამ ეს ასე არ არის. არავის ეშინია სისხლის დაღვრვისა ისე, როგორც ხევისურს: არც ერთს ხალხს, არც ერთს ტომს. მკვლელს ხევისურეთში „ლაჩარის“ სახელით სდაღვენ. ვმირი მათთვის ის მორჩინალი კი არაა, ვინც სახიფათოდ დასჭრის მოპირდაპირეს. ჭრილობა კანის გაკაწრვა უნდა იყოს მხოლოდ, თვით გაავებულ შებმაშიაც კი — აი უტყუარი ნიშანი ხევისურისათვის ნამდვილი ვაჟკაცისა.

**

სოფელს ხმა მოედო: გივი ქისტიაურმა სასიკვდილოდ დასჭრა გოგოთურ გივასურიო. უნდა გენახათ ხევისურები: თითქო თვითონ სიკვდილს გადაეჭროლა მათ სახეებზე, ისე იყო არეულგაბნელებული მათი გამობხედვა. განსაკუთრებით მგელიკა იყო აზორგოლი, რადგან გოგოთურ მის საყვარელ მეგობრად ითვლებოდა. ვეღარ იცნობდი ამ ხალხისიანსა და მავარ ხევისურს. თითქო თავისთავი დაჰკარგო, დაჩბოდა იგი აქეთქით, ვერსად ვერ ებოვის ადვილი. ის ვარქემოება, რომ ამ სამწუხარო ამბავში სიმართლე, თავში მაინც, გოგოთურის მხარეზე არ იყო, კიდევ უფრო ამძაფრებდა მის აშლილობას. ღონიერსა და მარჯვე გოგოთურს ვაეხელებინა თურმე სუსტი და მოუქნელი გივი. საოცარი სიმართლით გამოეცანა მას გვიისათვის ხანჯალი, გაეკაწრა იგი მსუბუქად და გადაეცა მისთვის დაცინვით მისივე საჭურველი. ცხადია, ეს სასირცხვოდ დარჩებო-

და გივის. იგი ისე გაბრაზებულიყო, რომ მოულოდნელად გოგოთურისათვის ხანჯალი მუცელში ჩაეცა.

„გივი ლაჩარი არს“, ბურღულუნებდა მგელიკა, „მავრამ გოგოთურიც ცუდ და უღირს მოქცეულა“.

ხევსური ყოველთვის მის მხარეს იჭერს, ვის მხარეზეც სიმართლეა. არაერთხელ კავშირს, არც ნათესაურს, არც მეგობრულს, არც ტომურს, არ ძალუძს გამოიწვიოს მასში პირადი მიყრდნობით გადასწრა ვინმესკენ.

მგელიკამ წამიყვანა გოგოთურის სახლში. მკურნალი ლიკოველი დაჭრილს ჭრილობას უხვევდა. გოგოთურს აწყუბებდა ტკივი, მავრამ ცდილობდა არ ეჩვენებინა იგი. ხევისურისათვის უძრავლო კენესაც კი, ტკივილით აღმოშენდარი, სირცხვილია.

**

ლიკოველი იყო 97 წლის მოხუცი, მავრამ ჯერ კიდევ ჯანითა და ღონით საეხე. ჭრილობის შეხვევისას იგი მუშაობდა როგორც კარგად ნაწვართი ხელოვანი. გავერცხებული ვუცქერდი მას. ჩემს ვაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვაგივე, რომ მისთვის ნაცნობი იყო ყოველი ნაკეცი ტვინისა. საითვან? ქვეყანას მოყვებოდა კუთხეში, სადაც არც ვაზეთია, არც რკინიგზა, არც ტრამვაი, ვხედავდი მოხუცს, რომელსაც ჰქონდა ცოდნა ყოველგვარი ჭრილობისა და რომელიც იყო დახელოვნებული მკურნალობაში. საითვან? ვეკითხებოდი ჩემ თავს. ჩემი რწმენა, რომ ხევისურები დანაშთია რომელიც ძველი კულტურისანი ხალხისა, აქ ნათლივ მტკიცდებოდა. სხვა ახსნა შეუძლებელი იყო.

ვავესაუბრე მოხუცს. ბევრი რამ მამცნო მან. ჭრილობის მოსარჩენად ხმარობდა იგი ერთს მალამოს, კვერცხის ცილისა და თაფლისაგან შეზავებულს. თუ ჭრილობის გნდევს გამშრალი სისხლი დაეწებებო, ამბობდა იგი, მაშინ მათ მარლით მოკლული ნაკელის ქივილი უნდა დასყაროვო. ჭრილობა ამ შემთხვევაში ისე იწმინდება თურმე, რომ მკურნალის თვალს არცერთი წვრილმანი მოსარჩენისა არ გამოეპარება. განსაკუთრებით აფასებდა იგი ერთს ფხვნილს, უცხო ზალასიაგან დამზადილს, რომლის სახელი მან არ იცოდა. მან მომითხრო შემდეგი: გველს დაეჭირა მყვარი; ერთი ხევისური თავს წასწრებოდა ამას; გველს მყვარი უკვე დაეკინა, რომელიც ძლივს გამხლტარიყო ვანზე და შემ-



ძვერალიყო ბალახში; ხეცსურმა მოჰკრა თურმე თვალი: თუ როგორ მოსწყვიტა მყვარმა რაღაც ბალახის ფოთოლი და ნაკბენზე დაიღო იგი; მსაყურებელი ფრიად გაკვირვებულიყო; რამოდენიმე დღის შემდგომ მისულიყო იგი იმავე ალაგს და ვაოცებულიყო: მყვარი თურმე დახლტიდა ბუჩქთან უკვე მორჩენილი. ასე გავიდა ხეცსურს კურნების ძალა იმ უსახელო ბალახისა. ლიკოკელი ამ ბალახს ხმარობდა.

ბევრი სხვა რამეც გაშავნო მოხუცმა. მის სიტყვებში ყოველი მკურნები ელემენტი მითიურ სახეს იღებდა. თვითონ იცავდა თითქო მითოსიდან იყო მოვლენილი. განსაკუთრებულ ძალას აკუთვნებდა იგი მოკლულ გვილს, წითილსა და თეთრს. განცვიფრებული ვოსმენდი მოხუცს, გავიგე კიდევ, რომ მას შიიძლო თაიის ქალის დოსტაქრობაც გავწია ვინმის დაუხმარებლად. მრავალი ავადმყოფი მოიჩინა მას: ხეცსურების გარდა ფშავებიცა და ქისტებიც. ერთი ფშავისათვის მოშულარს თავი გაეზო ხანჯლით. ლიკოკელს ქელები უნდა განეშორებინა და ტვინი განეკალკავებინა. ოპერაცია, მეტად ძნელი, დოსტაქარს კარგად დაესრულებინა: თავგაბობილი გადარჩენილიყო. თვალს ვერ ვაცილებდი ამ ჯადოსანს, რომელიც იღვა ჩემ წინ ვითარლანდი პრესტორიული ხანიდან. მას ჰქონდა ცოდნა, რომელიც საუკუნეებს ვერ წაეშალათ. ლიკოკელი ერთი არ იყო ხეცსურეთში. ძველისძველი ცოდნა, რომელიც თანვე ხელოვნებაცაა, თაობიდან თაობამდე გადადის იქ.

გოგოთური ვერ იხსნა მანინც ლიკოკელმა.

შედამებისას დაიწყო სიკვდილთან ბრძოლა. გოგოთური ბოდავდა.

„სანთელი!“ დაიძახა მან უეცრად ოდნავ წამოწულმა.

შიშმა მოიცვა იქ მყოფნი.

„ვაი ჩვენ!“ გაისმა პასუხად.

მოიტანეს სანთელი. მისცეს მომაკვდავს მხარცენა ხელში. აანთეს.

„ხრმალი!“ დაიყვირა ესლა მომაკვდავმა უფრო საშარლად.

„ვაი ჩვენს თავს!“ აღმოხდა დედას.

მოიტანეს ხრმალი. გადასცეს გოგოთურს მხარჯვენა ხელში.

„მარლი!“ დაიყვირა კვლავ სუნთქვამილელმა.

„ვაი ჩვენ! ვაი ჩვენ!“ გაისმა ყრუდ ირგვლივ.

მოიტანეს მარლი. ჩაუყარეს ხახაში მომაკვდავს.

„მოჰკალთ იგი!“ დაიბღველა მან არაადამიანური ძალით.

„მოგვკლავთ!“ დაუდვასტურეს მას იმგვარივე ძალით.

სანთელი დაიწვა. ხრმალი დაეშვა დაშლას. დამწუხრებულნი იდგნენ უძრავად გოგოთურის ძმები. არცერთს მათგანს ცრემლი არ უჩანდა. გოგოთურმა დალია სული. დედა წამოხლტა მძვინვარე, მონახა ნავთი და ასანთი და გაეჭანა მკვლელის სახლისაკენ, რათა უჩანასკილისათვის ცეცხლი წაეკიდა. ძლიერ შეაჩირეს იგი. დიდდედა გარდაცვლილისა, ასწლოვანი უცბილო მოხუცი, ბუტბუტებდა თაიისთავის რაღაც წყვილისა და კრულვისა გვარს. ძმებმა აისხის საჭურვილნი და გაეშურნენ განრისხებულნი შურისსაგებად. მთელი სოფელი აშლილი იყო. მკვლელი გაქცეული უნდა ყოფილიყო უკვე. ესლა მართლაც დავინახე სისხლი: საშიშარი, საიდუმლო, რომელიც ჰკიოდა სამაგიეროს ზღვევისათვის, მოითხოვდა მას. გოგოთურის ძმები განპიროვნებანი იყვნენ ამ კვილისა. სიკვდილის აჩრდილი აწვა მთელ სოფელს. ნათლად გავიგე უბედურება სისხლის დაღვრვისა.

დაებრუნდით უკან, ჩემი ძმადნაფიცი და მე. მეგლიკა სრულად მოშლილი იყო. მზისა და ხალისისათვის შექმნილი, იგი ესლა ურეულს ჰგავდა ბნელეთიდან გამოსულს. მივდიოდით დაღვრემილნი. მეგლიკა სდუმდა, მეც უსდუმდი. ცხადი იყო, რომ მისი ფიქრი მხოლოდ გოგოთურის ირგვლივ ტრიალებდა.

„ფრთხილად უნდა იყო სისხლთანა“, წარმოსთქვა მან ბოლოს.

ეს უბრალო თქმა ჩაეშვა ჩემ სულში როგორც თესლი მარცვალი. სიმაართლე იყო მასში ალბეტილი, ვითარ ციდან ჩამოვარდნილი ქვაში.

„ვინმეს მოკლვა უბედურ არა“, წაიჩურჩულა მან და დაუმატა: „მკვლელისათვისაც, ყველასათვისაც“.

მე არა მიმიმატნის რა ამ სიტყვებისათვის. ჩემმა ძმადნაფიცმა უკვე გამოსთქვა რისი თქმაც მსურდა.

ბევრი რამ გავიგე მისგან, თუ როგორ გამოისყიდვის ხეცსურეთში დამავება თუ დაზიანება სხეთლისა. თვალის დაზიანება მოითხოვს ოცდაათ ძროხას, ფეხის ოცდაოთხს, კერის ხუთს, ნე-



კის ცრითს. თუ სახეში მოხვედრილ დარტყმას ძელები არ დაუშვებია, მაშინ ამ რიგად ზომი- ვენ სანაზღაუროს: ჭრილობის ფასწვრივ ხორ- ხაღს გააწყობენ; დასთვლიან მარცვლებს; გამოა- კლებენ პირველსა და ბოლო მარცვალს; რაც და- რჩება, იმდენი ძროხა უნდა გადაიხადოს დამნა- შადევმ. ძროხა ხევსურთათვის საზომისა დაფასებისა. მიკვირს მხოლოდ, რად არაა იგი აქ წმინდა ცხო- ველი იმგვარადვე, როგორც ინდოეთში. მიაბო- ბდა მეგლიკა ყოველივე ამას მარტივად, მნიშ- კნელობის მალრმხებულთ ტონით. განცვიფრე- ბული ვფიქრობდი: თუ ამდენი საფასური უნ- და გადაიხადოს დამნიანებელს ან დამშავებელ- მს, მაშინ რამდენი უნდა გაიღოს მკვლელმა! მგე- ლიკამ გადამიშალა მთელი კოდექსი დაუწერე- ლი; მკვლელობის შესახები. ფულდასმით ვუსმე- ნდი ყოველ სიტყვას ძმადნაფიცისა. სისხლით შურისგება ხევსურეთში მკვლელობის ასაცდენ სჯულდებად მესახებოდა.

**

მკვდარი გარეთ გაიტანეს, რათა სიკვდილის სუნთქვა სახლში არ დარჩენილიყო. გაკრიჭეს იგი და განბანეს. ჩააცვეს ახალი საცმელი ტანს და მორთეს საჭურველით. ოთხი დღე ესვენა იგი ასე. ხევისბერი ლოცვებს უკითხავდა. მეზობლე- ბი მიდიოდნენ: გამოეთქვათ ჭირისუფალთა მი- მართ სამძიმარი. არც ერთს დიდი მხატვარის სუ- რათზე არ დამინახავს ის, რაც აქ ვნახე დამწუხ- რებულთა სახეებზე: უსაზღვრო ტკივილი შინა- განი და იმავე დროს საოცარი სიმშვიდე გარეგა- ნი, თითქმის უძროხა. მათ იცოდნენ სადაც იყე- ნენ: აქ სიკვდილი სუფევდა. ჭირისუფალი ქოხ- ში ისდნენ ძაძამიანილნი; მამაკაცები პირგაუპა- რსავანი, საკინძე-გახსნაღნი; ქუდეები თვალბამ- დეუ ჩამოემეთ, რათა ცრემლი დაეფარათ. მო- სულნი მუხლს იყრიდნენ ჭირისუფალთა წინ და ნელი დაბალი ხმით უხიარებდნენ მათ თანაგრ- ძნობას.

ეზოში მომტირალე ქალები მოსთქვამდნენ:

„აღსდევ გმირო! ჯარი გელის! ვით დაიძრას იგი უმეთაუროდ!“

„ვაი, ვაი!“ ეხმინებოდნენ მათ მგლოვიარენი ამოძახილთა ნელი განფენით.

„რად არ იძლევი პასუხს გმირო?“ განაგრძო- ბდნენ მომტირალნი; „არ გსურს გასცე ბრძანე- ბაჲ? შენი ცხენი ჭიხინებს უთმენი, რად აგვიან- ნებ?“

მძაფრი ჟრუალი სერავდა მგლოვიარეთ.

„წამოდევ გმირო, თორე დაჯანგდების შენი ფარი, ბლავე იქცევის შენი ხრმალი! გეასმინე კიდევ შენი ხმაჲ, მტერის შემაძრუნებელი! წა- მოდევ და ნაცრად აქცეე სახელი მისი!“

„ვაი, აღარ გვისმენს ჩვენ იგი, აღარ გვის- მენს!“ გაისმა ეხლა მომტირალთა გუნდიდან.

„ვაი, ვაი!“ აღმოხდათ სიღრმიდან ყველას.

გლოვა დასრულდა სულის ხსენების რიტუა- ლით.

საჭურველი აჩრთვეს მკვდარს. წაასვენეს გარ- დაცვალეული სასაფლაოსაკენ. გადასცეს მიწას დედას. საფლავზე პრტყელი ლოდი დაადვეს. შე- მდეტე მარულა გამაძრთეს.

**

დასაფლავებას მზექალიც დაესწრო. მომკრა თუ არა თვალი, შეირბა იგი ოდნავ და თავი და- ხარა. შემდეგ შებარვით მიცქერდა. სისრულით ვიზნე, ვუყვარდი მას. მეგლიკა მოშორებით იდგა, სხვები კი ვერ ამჩნევდნენ ჩვენს უსიტყვო საუბარს. ტკბილი იყო ეს მდუმარე შეხვედრა. ვეგებულობით ურთი-მეორის გულწაღებეს. მზე- რსა მხერას ხედებოდა როგორც გულის ნატვრს თვითონ. ხევსურეთის იმტარი ქალურ ჯადოს მანსურებდა. მეც ვეზნებდი ვენბის აღვივებას. საცნაური იყო ეს ერთიმეორისადმი მიზიდვა — სწორეთ სიკვდილის უძირო სიბნელის აღქმევი- სას. ჩემს ხსოვაში შემოიჭრნენ ავბორცობის სვე- ნები, რომელთაც ძველთაძველ დროში უმთავ- რესად დასაფლავების დროს ჰქონდათ ადგილი. ვეგებ სწადის სიცოცხლეს სიკვდილის ეამსაც ამ- ტკიცოს და აღვივოს თვისი ძალა: ვფიქრობდი ასე. შესაძლოა მარულას გამართვაც ამის ცხადე- ბა იყო. მძაფრი რუხნი ჩემი გულისა დასტურს იძ- ლეოდა. ჰოო, მხილველო ძალავ სისხლისა! ვი- ცოდვი უკვე: დღეს ღამით სატრფო მოვიდოდა ჩემთან.

**

შოვიდა იგი, ავბორცი და უმანკო.

ჩვენი აღერსი წამებად იქცა.

„ჩსტომ არ უნდა მოხდეს ჩვენს შორის ის რაც ხდება ვაჟსა და ქალს შორის?“

ვკითხე მას ჩემს გვერდით გართხულს.

„მე ხომ შენი სწორფერი ფარი და შენ ჩემი!“ მიბასუხა მან.

„ეს ხომ წამებაა!“ შევქახე მე.

„წამებაა?“ მომიბრუნა სიტყვა; „ტკბილ ხომ არს!“

ტკბილი იყო „ეს“ უთუოდ, მაგრამ ასე მტან-



ჯავი. რომელმა ვაჟმა შესძლოს ამ ცეცხლის ატანა?

ტკბილად ეველილოვებოდით ურთიერთს. იგი გამოიხიკცდა: მას თვითონ ეთხოვა თურმე მგელიკასათვის, მოეწყო ჩვენი შესვედრა.

„მაშ მოგეწონებ? მვეცითხე ღიმილით.

„ჰო, ძალიანა!“ მომიგო მან გულახდილად.

ბევრი რამ მაცნო მხექალამ სწორფერობის შესახებ.

„ხანდახან ძალა აღარ ჰყოფნით სწორფერით“, მითხრა მან, „ხოლო ეს სირცხვილ არს, აუგია“.

„რომ დაქორწინდნენ?“

„არ იქნების დაქორწინებაჲ, აკრძალულ არს“.

„მაშ მე არ შემძლია შეგართოთ?“

„არა!“

„ეს ზომ წამებაა!“

„ტკბილ ხომას!“

ამ ჯერად აღრე მიმატოვა ლამაზმა.

შეორე იდეს მე და მგელიკა სოფლის ვარეთ ვსერიობდით. შევამჩნიე ერთი შენობა თირით ნაშენი და თირითვე დახურული. ერთადერთი აარკმელი მისი კარი იყო.

„რა არის ეს შენობა?“ ვკითხე მგელიკას.

„სამრელო! აქ თავს აფარებენ ქალები, როცა ჰშობენ ან და როცა თვითონ აქვთ“.

ვუსმენდი ძმადნაფიცს, მონდომებული: მე-პოვნის მის ნათქვამში რაღაც, რაიც სწორფერობის საიდუმლოს ასახსნიელად გამომადგებოდა. მგელიკამ ვადმომცა: როცა მოახლოვდება ესამი მშობიარობისა, ქალს სახლითგან გაიყვანენ სამშობიაროდ გამართულ კარავში; იქ შობს იგი დაუხმარებლად ბებია ქალისა; თვითონ გადაკენეტს იგი ჭიპს კბილებით; სამი დღე დაპყრფს კარავში, შემდეგ გადადის სამრელოში; კარავს დასწვავენ; სამრელოში ქალი უნდა დარჩეს ერთი თვე; ცივი წყალით უნდა განბანოს მან ბავშვი, მაშინაც კი, როცა ცივი ზამთარი დგას; ხევისბერი დაპყრფს ცხარს — არა თხას, ეს ემმაკეულია — სისხლით ავსებს ხის თასს და მორწყავს სახლს, შესავალს და კედლებს; მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ქალს დაბრუნდეს სახლში.

შორიდან ხმაური გაისმა: აღბად ჩხუბობდნენ. მგელიკა გაეჭანა იქითგან. გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და თავს წავადექ ერთს ნაკადულს, რომელიც კლდის ვარდევულ მკერდიდან სჩქედდა. იქვე ჩრდილში იჯდა მოსვენებით ერთი მოხუცი, მგელიკას ნათესავი. მივესალმე, მომესალმა.

მოხუცმა სამოილო ჩიბუხი, გატენა თუთუნით; შემდეგ დაადო ტალს აბედი, გაჰკრა კვესი: ნაპერწყალმოდებული აბედი დაურთო თუთუნს; მოსწია ნებიერი ჩიბუხი. მჭნარი და დანაკებული ხელები აცნაურებდნენ სინაზესა და სილბილეს. ნელი და ლბილი იყო მოხუცის ხმა, თანაც ნაღვლიანი, დაღონებული. გავესაუბრე ეს სხვადასხვა საგნებზე. იჯლდასმით მისმენდა იგი. ყოველი შენიშნვა მისი მაკვრებდა სისწორითა და ხელამით. კარგა ხანს ვმუსაიფობდი მასთან. შემდეგ გავემართეთ ერთად მახლობელ ბორცვისაკენ. უეცრად ორი მოხუცი შევნიშნეთ: კაცი და ქალი, რომელნიც ურთიმორეს ეკვროდნენ დამსხვარნი. მივუახლოვდით, სააღერსო სიტყვები მოგვესმა. გამეცინა. შევამჩნიეს თუ არა, წამსვე დასცილდნენ ოდნავ ერთიმეორეს, დარცხვენით გაწითლებუა მათ უკვე აღარ შეეძლოთ. გავშორდით მათ. გრუტუნე უცნაური წყვილისა მოგვესმა კიდევ.

„სწორფერები ელოლოვებიან ურთიმეორეს“, წაიფუჩუნა ღიმილით ჩემსა თანამგზავრმა.

„რაა?“ წამოვიძახე განცვიფრებულმა.

მოხუცები იგონებენ ყვარობის გადასულ დღეებსო, ამხსნა მან; კაცი ცოლშვილიანი და ქალი ქმარშვილიანიო.

„ერთი სწორფერი გიყვარდეს და სხვა ცოლი გყავდეს“, დაუმატა მან, როცა შემატყო გაცვივება.

ესლა გავიგე საბოლოოდ, რომ ხევსურისათვის სქესი ო-სიყვარული სხვადასხვა რამაა. ჩემი თანამგზავრის სიტყვაძვირი იყო. ვსლმდი და ვუცდიდი: მსურდა კიდევ რამ გამეგო მისგან. ბოლოს როგორც იყო ჩამოაწვეთა მან ორიოდე, სიტყვა: „ღეთიერ არს სიყორულ; ზორციელ იგემებ — მოჰკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!“ დააბოლავა მან საიდუმლოდ. მეტი არა უთქვამს რა.

გამოვეთხოვე ბრძენ ხევსურს და გავეშურე სახლისაკენ. კიდევ ერთხელ ვმხერდი მღუმსარე მთებს და ვტკებოდი კოსმიური მყუდროებით. მატერიული სულიერში გადასულად მეველინებოდა. სიმძიმეს აღარ ვგრძობდი. თქმა მოხუცისა „იწვოდ მხოლოდ“ ფიქრებს არ სცილდებოდა. ანაზრად სიტყვა მომაგონდა მითითური დიოტიმასი პლატონის „ნადიმიდან“. „სიყვარული შობაა მშვენიერებაში, როგორც სულით ისე სხეულით“. ეს თქმა ჩემთვის საცნაური იყო ყოველთვის და საოცარი. პლატონურ სიყვარულს საუკუნოებში იგულვებდნენ როგორც არახორციელს. მაგრამ რად არის დიოტიმას თქმაში ჩაწვე-



თებულის: „როგორც სულით ისე სხეულით?“ პლატონის აზრით სხეულისაც ჰქონია მანმ წილი სიყვარულში! მას არც შეეძლო სხვაგვარად ეახრა: არახორციელო ქროსი მკლეა და ბერწი. ვერთვლი ფიქრებს და საიდუმლოს ვუახლოვდებოდი. სრულყოფილ საქმეებში — პლატონი როგორც „იდეით“ გამჭვრეტი ყოფისა, საგულევებელია, აქაც სრულყოფისა, გულისხმობა — სიყვარული მართლაც შობა უნდა იყოს მშვენიერებაში როგორც სულით ისე სხეულით. უსრულოში კი „სრულად“ ვერ განამდვილებდა იგი: სხეული აქ მოდგმის ანუ სქესის მეშვეა მხოლოდ — ვერ შობს წაჩუვალს ანუ „მშვენიერს“. შიში სხეულის წინ სიყვარულში აქ უნდა იყოს დამალული. გრძნობენ ხომ მოტრფიადიერი უძირო სევდას თვითონ უტკბილეს შვებაშიაც კი! თითქო ქვემეცნიელ იცან წინასწარ, რომ სიყვარულს ვერ იანახორციელებენ სრულად.

მივდიოდი ფიქრებში გართული. „იწვოდ მხოლოდ“ — განა ეს ცხადება არაა პლატონურ გაგებულ სიყვარულისა? ალბათ ხევსურთა ტომი უძველეს დროში ორდენი იყო ერთგვარი, რაზელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ასეთი გზნება და მტკიცება სიყვარულისა. ხევსურების ხიზლი მშობიარეს მიმართ ეხლა გასაგები გახდა ჩემთვის; იგი მათთვის მატარებელია არა „შობისა მშვენიერებაში“, არამედ უსრულო შობის, რომელშიაც მოჩი წარმავალისა იმთავითვეა შთასახული. „იწვოდ მხოლოდ“ — ესე იგი: იგზნი ღვთიურ-წარუვალნი ცეცხლელ ზღვაზედ. გადალახვა ზღვარს — ფუტად იტევა გზნება. რაც დიოტიმას სიტყვაში ქარაგმა და ნიშნება, მას ხევსურეთში ცოცხალი სხეულობა მიუღია.

ერთი წუთით შეწყდა ფიქრთა დენა. უცრად ვსცნე: მზექალა ღვივოდა ჩემში, ძალავსილი და მათრობელი.

გზადაგზა თითქმის ყოველი რუხე პატარა წისქვილი იყო გამართული, რომელშიც მხოლოდ ერთი კაცი იყო მოიდგამდა ფეხს. მათ მხოლოდ ერთადერთი საარკმელი ჰქონდათ. დოლაბი ახალგაზრდას შეეძლო აეწია ხელით, ისე პატარა იყო იგი ყველგან. ერთი ფუთი ხორბლის დაფქვას მთელი დღე მოუწოდებოდა. ბუნების საიდუმლო და ძლიერად მოუწოდებოდა. ხევსურის გულისა ყური უფრო გონისა და სულისავენა მიტყუერი ვიდრე მატერიულიავენ. კიდევ ერთხელ გა-

დავხედე ამ ნამლევა წისქვილებს. უზარმაზარ კლდეთა შორის თვითელი მათგანი სჩანდა როგორც უსალზერობიდან მარტვილად ჩამოშვებული სევდა, ხევსური ცეცხლია და კაემანი.

გზაზე შევხვდი ჩემ თანამგზავრთ, რომელნიც მეზობელ სოფლიდან ბრუნდებოდნენ. მეელი-კაც მათთან იყო: ალბათ მათ წააწყდა თავს, როცა მე დამცლიდა. ჩემი თანამგზავრნი მეელიკას მუჯგურის ენით რაღაცა უხსნიდნენ. მეელიკას ეტყობოდა ყველაფერს ვებულობდა, მისახვედში გამორჩენენ ქალები, რომელთაც მხრებით სუნელიოვანი თივა მიჰქონდათ. მზექალაც მათში ირია. ტკბილმა ტალამ გამიარა ტანში. ქალები შეჩერდნენ ერთი ხის ძირას დასასვენებლად. ტვირთი მოიხსნეს. მზექალა იდგა დიდ ჩრდილში, ახოვანი და ატვირებული, ტუჩები მოეკუთმა მაკრად, ნესტოებით ველურ სუნნელთ ასუნთქავდა. ქუთუთოები მოეკუთა ოდნავ, გრძელ წამწამებიდან სხივიფინდებოდა მისი გვერდული მხერა, მალეით მიტვირტდა იგი შინაგან ახალი-სუპული. ხანდახან ღიმილი გადაკარავდა მას, მხოლოდ ჩემთვის ცნობილი. კლდეთა ლანდშაფტი ერთ დიდ ღიმილად მიქმლდებოდა.

უცრად ერთიმა ჩემმა თანამგზავრმა გადმომცა, ზვალ ვაპირებთ უკან დაბრუნებასო. ელდა მეცა, მჭრელი და მწველი, თითქო რაღაც გაწყდა ჩემში. მეელიკას ეტყობოდა ჩემი ვაფიორება. „რა მოგივიდის?“ მკითხა მან არეულმა.

„ზვალ უნდა დავტოვოთ ხევსურეთი“, მივეუბნე დაღვრებით.

ვუტქერით ერთიმეორეს: მე და იგი; ვერ გავეგო ეს ამბავი: ვერც მე, ვერც მას. მეელი-კამ მზექალას გადახედა, ეხლა — არა ღიმილით. მეც ვავიხედე უნებურ მისკენ. იგი იდგა უძრავად, შეკვირვული. სჩანდა, მოესმა მას, რა ვუთხარ მეელიკას. იდგა გარინდებული; უსაზღვრო, ბინდით მოცულ უცნოას წინაშე.

დავბრუნდით შინ, დამე ჩამოგვვა. ველოდი მზექალას. გვიქრობდი: მოვიდოდა იგი უთუოდ, მოვიდოდა უკანასკნელად; მხოლოდ თანვე არ ეტვირებდი ჩემ წინაგრძობას: იმ წამიდან, რაც დაბრუნების ამბავი მომესმა, ჩემი ალლო მოიშალა სრულიად. ამორკუპული ვეგდე ლოგინზე, ხან ერთ გვერდზე ვბრუნდებოდი ხან მეორეზე, ძილი არ მეკარებოდა. არა სჩანდა მზექალაც. აქამდე არ მიფიქრია ვაბრუნებაზე, არ ვიცი რად. ეხლა იგი იდგა ჩემს წინაშე რო-



გოორც ბედისწერა, სასტიკი და არდამთმობი. მიყვარდა მზექალა? უღრმესად. ხოლო ეს სიყვარული რაღაც სხვაგვარი იყო. მომაგონდა არაბული თქმა: თუ ცეცხლს შეემა არ მიიცი, თავის თავს შესტამსო. ჩემი ვნება, ცეცხლელ ზღვართან შეჩერებულ, ამგვარ ცეცხლს ჰგავდა უსაზროდს. ფესვებით ვგზნებდი მზექალას, ვგზნებდი წვეთამდე, ხოლო იმავე დროს უსაზღვროებაში მიეკარგებოდა იგი: ახლოც იყო და შორსაც. ჩემი სიყვარული თავის თავის მწველი იყო. როგორ მიმეცა საზროდო ამ ცეცხლისათვის? ამისათვის საჭირო იყო ხეცურად ქცევა. შემეძლო ეს? ებორგადედი, თითქო ვილაცას ვებრძოდი. ეს ვილაც მე თვითონ ვიყავ. ძილი არ მოვიდა. არც მზექალა მოსულა.

**

ეს წუთნი მარადისობის ნაწყვეტებად დარჩებთან ჩემში. ვნატრობდი, ერთხელ კიდევ ვენახე მზექალას.

მგელიკა სინაზე იყო მთლად, მარტო სინაზე. მკითხებოდა ყოველწუთს: ვინახულე თუ არა კიდევ ხეცურეთს, მოვიგონებ თუ არა ჩემს ძმანდაფიცს, ვიფიქრებ თუ არა მზექალაზე. ვაღმეღებდი მას მწუხარე: კვლავ ვინახულე ხეცურეთს, არ დავივიწყებ ძმანდაფიცს, სწორფერიც გულში დამჩნება სამუდამოდ. მგელიკამ დაჰკარგა სიმშვიდე, წუხილი დაეფულა მის მოძრაობას. ხოლო წუხილიც მისი სინაზე იყო.

გავემგზავრეთ, მზექალა არ გამოჩენილა, განახევრებული ვიყავ. გამგუნდა იგი? შესაძლოა იფიქრა მან, რომ მღე არ ძალმიძს სწორფერი ვიყო მისი და ვტოვებდე მას! განმძიმდა გული ჩემი. ღონემხიდილი ვიყავ. აღარ მქონდა საკუთარი ნება: რაღაც მიმართევდა წინ, ბნელი და ურყევი. მგელიკა გვაცილებდა დადუმებული. უცრად მარდიან ლობესთან შრიალი გაისმა. სმენად ვიქეც. გავიხედე იქითკენ მალულად და დაეინახე: ერთს სქელ ბარდს ამოფარებოდა მზექალა და ჰკრეტდა ფოთლებიდან. შევანელე ბიჯი, რომ სხვებს არ შეეჩინიათ ეს მოულოდნელი პაემანი. თვალი მოვკარ სატოფოს დიდრონ ლიბრად ციალს შევგვრემან თვალებს. მათში იყო ყველაფერი: სიყვარული, განშორება, წუხილი, ყველაფერი ერთად. ჩემი მზექრა სავადა ამ თვალებს წყურვილ დაუნელებელი. ერთი წუთით მარადისობაში ჩავიძირე, მეჩვენებოდა: თითქო ორივე, მე და ის, ვცოცხლობდით ერთად და ვკვდებოდით ერთად, ვცოცხ-

ლობდით და ვკვდებოდით ერთიმორის მზექრაში. მივდიოდით მთვარეულის ბიჯით, ხანდახან უკან გავხედავდი ლობეს: მზექალას მზექრა მაკავებდა. კიდევ ერთი წამი და მას შეეძლო ჩემი გაქცევა. უცრად მეგლოკას ძახილი გაისმა. იგი მე მიძახოდა მთვარეულქცულს. ნაბიჯი მოვუჩქარე. ბარდიანი ლობე დარჩა უკან დაუფიწყარო. მარადისობა გაიბზარა და გაწყდა. მუხლის სახსრებში ცახცახი იყო ეხლა. „მომწყდა გული“ — ეხლა ფიგრძე ნამდვილად ეს ქართული თქმა.

გავცილდით სოფელს. ეხლა ცხენებზე შეესხედით. გზა იყო ავივე, მთის ვიწრო ბლიკი. მგელიკა ჩემს გვერდით მოდიოდა. ვგრძობდი ყოველ ბიჯს, რომელიც ხეცურეთს მამორებდა. გადავხედავდი ხოლმე სოფელთ კლდის დაფუნებებზე არწივის თუ გავაზის ბუდეებისავით გამართულთ. ვიგონებდი მშვიდ ჩრდილებს წმინდა ეწერებისა, ვიგონებდი ხომლებს და გულებს. ვშორდებოდი მდევარს, უტეხ ხეცურებს, რომლებიც ბავშვებს შეპარვით ეფერებინან. ერთი მათგანი, ძმანდაფიცი ჩემი, ჩემს გვერდით მოდიოდა. იგიც მელერსებოდა მალულად სვედიანი მხერით. მწუხარესამ იმატა. ღნიოში ჯურღმულები, საცა მზის სხივი ადგილადგილ თუ წვდებოდა, მკერდს მივიწროვებდნენ. მიხიდავდა დენა თეთრად აქაფებულ მდინარისა დაკლაკილი ხევში — ვერ ვგრძობდი კი სად ვიყავ. უსაგნოდ მმზერს დიდი ღოდი მხედობდა ხანდახან თვალში: ზოგი მწვანე ხავსით მოკიდებული, რიგი ვეყანა სირსილით გადაკრული, სხვა კიდევ წითელყვითაური ხალუბით აფორჩავებული. მესმოდა გაყინულ ლანქერთა ძუთა მოშვებულ მთიდან მოხეთქილი ჩქერალთა ხმაური. ხმაური თითქოს უსაზღვროებიდან მოდიოდა. მწუხარებაში ვიყავ ჩაძირული.

ფართო ორე უკან დარჩა. საძოვრებზე სჩანდა ძროხათა რემა და ცხვართა ფარა. შორს ბრწყინავდა ფიგანტი ქედი ერთი მთისა მზეში, იქ სუფევდა მარტობა, იქ იყო სიმტკიცე, გულს მომეშვა ოდნავ, ვიკრებდი ძალას, რათა ვაღამეტანა განშორება. მზექალას ველარ ვხედავდი, ძმად ნაფრეს უნდა გამოვთხოვებოდი.

წამი: მარადისობისაგან ამოკრილი. ვადმოვხლტით ცხენებოდან. მგელიკამ მოიხსნა ხრმალი მგელის ნიშნით აღბეჭდილი და ვაღმომცა იგი საჩუქრად. გადავეხვიეთ ერთიმორეს. ჩემი თანამგზავნიც მეგობრულად გამოეთხოვენ მას. მგელიკა ღვივოდა, ბორგავდა შინაგან. ვგრძობ-

„მ ი მ ც ე მ ი“ და „მ ი მ ლ ე ზ ი“

I

მეცერს ისტორიკოსსა და კულტურათა მკვლევარს სხვა ძველ სტრუქტურათა შორის ერთი ყველაზედ უფრო უშვეერი დასაქვს თან დასასამითვან მათი მეცნიერებისა დღემდე: არიან უფრო ნიჭიერი ერნი, მიმცემი მათი კულტურული ნამოქმედართა, და ნაკლებად ნიჭიერი, მიმღებნი სუცხოთა წყალობისა. პირველნი არიან უფრო მოქმედნი და შემოქმედნი, უკანასკნელნი უფრო პასიური და ორიგინალური შემოქმედების ნიჭს მოკლებულნი. ვარქემე პირველთა გავლენისა უკანასკნელნი კულტურული იერებად ვეროდეს გახდებოდენო, და სხვა...

რომ ერთი ერთი უფროა დაჯილდოებული შემოქმედებითი ნიჭით, ვიდრე მეორე, ეს სიმართლე და სინამდვილეა, მაგრამ ამისი მსიგენებელი სულ სხვა რამ არის, ვიდრე „მიცემა“ და „მიღება“, და გავლენაც ერთისა მეორეზედ და ერთის „გავლენის“ განცდა მეორეს მიერ მათი არც ნიჭისა და არც უნიჭობის დამამტკიცებელია.

ზოგიერთს მეცნიერს, გარდა ამ ტყუილი რწმენისა, რომელიმე ერის ისტორიისა და კულტურისა არა ნამდვილი ცოდნაც უბნელებს ხე-

დას. მახსოვს, როდესაც ბერლინში 1500 წლის თავი დაბადებისა სომხურად თარგმნისა იდუქასაწაულეს სომხებმა, მთავარი მომხსენებელი იყო ერთი „განოჩენილი“ გერმანელი მეცნიერი ორიენტალისტი. გადამავალა რა სურათი სომხური კულტურის განვითარებისა, გადმოგვხედა თვალუბის ბრიალით იქვე იმჯდომი ქართველებს და თქვა: ქართული კულტურის სომხური კულტურის „განაღვივება“. გარდა ქართული კულტურის უცოდინარობისა და ზემოხსენებული „ძველი სტრუქტურისა“, რაღაც სიძულვილი ქართველებისა, ვინ იცის ვისგან და რად მის გულში ჩანერგულია, ამტყველებდა ამ მეცნიერს, მაგრამ დარწმუნებული იყო: რომ სომხურმა ქართულს მრავალი სიტყვა „მისცა“ და გახდა იგი „კულტურულ“ ენად; რომ სომხებმა ქართველებს ანბანი „მისცეს“ და ამით საფუძველი ჩაუყარეს მისს მწერლობას; რომ ქრისტიანობა საქართველოში სომხეთითგან შემოვიდა და საღმრთო-წერილიც ქართული პირველად სომხურითგან იყო თარგმნილი; რომ ქართული საეკლესიო ხეროთი-მოძღვრება სომხეთში შექმნილი ხეროთ-მოძღვრების პირია;

ბდი: თითქო რაღაც ქვეყარებული მწყდებოდა და მცილებოდა სამუდამოდ. აღარ მჭონდა ღონე, მხოლოდ ნაჩუქარი ხრმალი მმატებდა ძალას.

განვლეთ მდინარე. გავუღვივით გზას დანაღვილიანებულნი. მივდიოდით თანამგზავრებთან ერთად და მართო ვიყავ მაინც: ძმადნაფიცი აღარ იყო ჩემს გვერდით.

„გოვარგი!“ გაისმა უცრად მაგარი ხმა. შევჩერდი. გავიხედე უკან. მგელიკა იდგა მდინარის მეორე ნაპირზე. მსურდა მცე გავხმინებოდი — ძალა აღარ მყყო. მხოლოდ უსიტყვო მზერა გავუშვი მისკენ, სიყვარულით და ურევით სავსე:

განვაგრძეთ გზა. „გოვარგი!“ გაისმა ხელმეორედ ხმა ძმადნაფიცისა.

შევჩერდი კვლავ ვითარ შუაგარდევული. მგელიკა ისევ იმ ალაგას იდგა. ვერც ეხლა შევძელ გავხმინებოდი.

მივდიოდით დაღონებულნი. წინ მოსახვევი იყო დაფენებულ კლდის გასწვრივ.

„გოვარგი!“ გაისმა მესამეჯერ ძახილი, ეხლა საშინელი დაძვით, თითქო გამსკდარი.

მოგპრუნდი — მაგრამ ჩვენ უცვე მოსახვევის ვიყავით გაცილებულნი. მგელიკა აღარ სჩანდა. გავბრუნებულოყავ და ერთხელ კიდევ გამეშვა მზერა ძმადნაფიცისაკენ? მაგრამ ეს მიწას მიმსკრავდა, ვიცოდი. გავყვეთ თანამგზავრებს. კიდევ გაისმა მგელიკას ძახილი, ერთხელ, ორხელ, ეხლა საშინელი და შემშაჩრავი. შემდგომ — თითქო უკანასკნელი სუნთქვა შეერთო უკუნეთს — ჩამოეშვა მძიმე, ღვრემამოკული მღუქმარება.

გრიგოლ რობაქიძე

P. S. „დენ“ ზმნაში. ამ ფორმის ხმარება ვიწყებ ბოლო დროს, როცა გავიგე მისი დადგენა ქართული აკადემიის მიერ. წინა რვეულში ჩვენი ჟურნალისა მიხეილ წერეთელმა ნათელჰყო, რომ ეს ფორმა არაა მართებული. შემდეგში კვლავ „დენ“ უნდა ვიხმარო.

რომ ერთობ ქართული ქრისტიანული კულტურა სომხურის მიბაძვას, მისი „გავლენით“ შექმნილი, და სხვ. და სხვ.. — სპარსეთზედ რომ ყოფილიყო საუბარი, იგი აგრეთვე სპარსული კულტურის „გავლენას“ მიაწერდა მთელი ქართული ცივილიზაციის შექმნას, ასე აღნიშნავდა ბერძნულ „გავლენასაც“, და სხვ., ისე, რომ თითქოს ქართველებს საუკუნეთა განმავლობაში არც აზრით, არც გულთა და არც ხელით არაფერი ჰქონდესათ შექმნილი. იმეორებდა ეს ყოყლოზინა მეცნიერი მეცდომებს და ზღაპრებსაც, რაც წარსული საუკუნის სხვისი ნაწერებთან ამოეკითხა, ხოლო თვით არც იცოდა არც ქართული ენა, არც ქართული პალეოგრაფია (მართლ-საწინოდ არც სომხური!), არც ქართული იმწერლობა და მისი ისტორია, არც ქართული ხელოვნება და მისი ისტორია, — არც სხვა არაფერი ქართული! მაგრამ აქ ყურადღება იხარის, რომ, კიდევ რომ სცოდნოდა მას ყოველივე ესე, სხვათაგან „მიცემულისა“ და ქართველთაგან „მიღებულისა“ მსგავსებები მანც საკმარისად ექმნებოდა, რომ სრულიად მცდარი წარმოდგენა ჰქონოდა ქართულ კულტურაზედ.

„საქართველოს მეცნიერებსათა აკადემიის“ მოამბეში (ტ. X. 1949 წ. თბილისი) დაბეჭდილია წერილი პროფ. ვ. წერეთლისა პასუხად რუსი არქეოლოგის ბოჩის კუფტინისა, რომლის ბრძნული აზრითაც ქართველი ერის „თვით-გამორკვევა“ (!) განსაზღვრა თურმე ირანმა და მისმა კულტურამ, აგრეთვე საბერძნეთისა და რომის კულტურამ. კუფტინი ქართველ ერს აცხადებს მხოლოდ კულტურის მატარებელთაგან გადმომღებლად, როგორც ჩამორჩენილი და მდბალი კულტურის მქონე ერს. — ვ. წერეთელი კარგად უპასუხებს: „ქართველი ხალხის ეროვნულ თვით-გამორკვევას განსაზღვრავდა არა ირანი ან რომი და ბერძნული სახელმწიფოებრივი ერთეულები, ან კიდევ მათთან კავშირი, არამედ ქართველი ხალხის ეროვნულ თვით-გამორკვევას განსაზღვრავდა ის ფაქტორები, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველგვარ ეროვნულ წარმონაქმს“-ო *).

ეს ერთი მსგავსი ქართველთა „მიმღებლობისა“ და „გავლენის“ განცდისა და მათ მიწობილთა „მიმცემლობისა“ და „გავლენისა“ ქარ-

თულ კულტურაზედ ჯერ ვიკმაროთ, ვითარცა საუკეთესო ზემოხსენებულ აზრთა სრული უზრობის ნათელი ყოფად.

არ არსებობს არც ერთი ენა კულტურულ ერთა, რომ მას უცხო, მიზომიელთაგან ნასესხები სიტყვები არ ჰქონდეს მიღებული. ბერძნულ ენაში მრავალი სიტყვაა ეგრედ წოდებული „აზიანური“ (დიდი ნაწილი ქართული ძირისა), აგრეთვე სპარსულში, მაგრამ ამით მათი ინდო-ევროპიული თვისება არც წარწლილა, და აგრეთვე რაც მათ მიზომიელთაგან შეთვისებიათ, მეტი თვით მიუციათ მეზობელთათვისაც. თუ სომხურს ქართულთათვის სიტყვები „მიუცია“, მეტი ქართულთაგან „მიუღია“ უძველესი დროითგან, როდესაც სომხური ტომები, ქართველი ჯან-მეგრელთა ტომების მოსაზღვრენი იყვნენ, — მიხლოვებით მეტევე საუკ. ქრ. წ. — და საკვირველია, რომ ეს „მიმცემი“ სომხური ენა ნარვე ენად არის ცნობილი ენათ-მეცნიერთა მიერ (თვით ნ. მარის მიერაც), შერეული უცხო ელემენტის ქართულია (ქანურ-მეგრული), ხოლო „მიმღები“ ქართული ენა წმიდა („იფუტურ“) ენად არის აღსარებული, მიუხედავად მისი „მიმღებლობისა“.

ვთქვათ რომ მართალია ლევენდა მესროფ-მაშტოცის მიერ სომხური ანბანის „გამოგონებისა“ და შემდეგ მის მიერვე ეროვნულ ანბანთა მიცემისა ქართველთათვის და ალბანელთათვის. დავანებოთ თავი იქვეს, თუ რად შეიწუხა თავი მესროფმა ქართველთა და ალბანელთათვის ეროვნულ ანბანთა მიცემისათვის, რად არ გადასცა პირდაპირ სომხური, რომელიც აგრეთვე ქართულ ბერებმა გადამოგვცემს. ხოლო რა დამამცირებელი იქმნებოდა სომხური ანბანის მიღება ქართველთათვის ან რომელიმე სხვა ეროვნათვის? ლათინური ანბანი ევროპის ერთადილ უმეტესობას აქვს მიღებული, მაგრამ ამიტომ ისინი უნიჭო „გადმომღებლებად“ უნდა გამოვაცხადოთ? ხოლო საქმის ერთარება სულ სხვაა: მესროფის ლევენდა სომხის ისტორიკოსის კორიუნის თხზულებაში შემდგომად მისი დაწერისა არის ვილაც ინტერპოლატირისაგან ჩამსტეხული (რადაც მიზნით). თვით სომხური ანბანიც და ქართული ანბანიც მესხეთე საუკუნეზედ (ქრ. წმ.) დიდად უფრო აღრეა „გამოგონილი“, — ი. ჯავახიშვილის პალეოგრაფიული გამოკვლევით ქართული დასახლოვებით შეექმნე საუკუნეში ქრ. წინათ. ქართული ანბანი როგორც ბერძნული, სომხური და სხვა დამოუკი-

* ამ ცნობისათვის დიდი მადლობას ვუძღვნი ბ-ნ იქიმ გოვი კობახიძეს (ნიუ-იორკითგან).



დებელნი განშტოებანი არიან ევკრეთ წოდებულნი ფინიკიური ანბანისა, რომელიც მისი თვისების გამო ბეგრასთა (და არა მარკვალოთა) ვაჩრდმოკცემისა მრავალ განშტოებათა სახით ივარჯელდა მთელ კულტურულ წინა-აზიასში და ევროპაში. მესხეთე საუკუნეში ქრ. შემდეგ უკვე განვითარებული, მაღალ ხარისხზედ მდგომი ქართული და სომხური მწიქროლობა არსებობდა, რომლის შექმნა წარმოუდგენელია ანბანთა „გამოგონების“ მოკლე დროის შემდგომად. რომ სომხური და ქართული წარმოათელი მწიქროლობის ან დამწერლობის ნაშთი ვერ არ აღმოჩენილა, ეს არაფერს ამტკიცებს. — და ყოველივე ეს ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ იერებმა წინა-აზიისა და ევროპისა ფინიკიელებს უნდა დაუმადლონ მათი „კულტურული თვის-გამორჩევა“ (?), — ფინიკიელებს, რომლებიც თვით აროდეს აღსრულან არც ძველი ბერძნული და არც შემდეგი ქართული კულტურის სიმართლემდე? ამას ვარდა, დაუუკვირდეთ ყოველ ეროვნულ ანბანს, ფინიკიურის განშტოებას, და ჩვენს თვალს წარმოუდგება წინ განსაკუთრებული სახე, ინდივიდუალობა თვითთულის მისთვანისა, ვითარცა **ეროვნული შემოქმედება**, და მივხვდებით, რომ აქ სხვა ძალას უმოქმედია.

ხუროთ-მოძღვრება ქართული სომხურის პირად ითვლებოდა და გერმანელმა ხელოვნებისმეცნიერმა შტრიგოვსკიმ სომხური ხუროთ-მოძღვრების „გავლენა“ არა თუ საქართველოზედ, არამედ ბიზანტიანზედ გაავრცელა და იტალიამდისაც კი მიიყვანა იგი. რასაკვირველია ქართული სტილი ომრთის სახლთა სომხურს ჰგავს, მაგრამ იგი მისგან საგრძობლად განსხვავდება, როგორც მაგ. ლათინური ანბანი ბერძნულიაგან. ჩვეულებრივი დამკვირვებელის თვალისათვის ცხადია სინაზე, მარტივი კეთილშობილობა ხაზთა, აღმაფრენა აგებულობისა, რაიცა ქართული ეკლესიასთა ინდივიდუალური თვისებაა, — და სხვაც ბევრი რამ არის განმასხვავებელი ქართული და სომხური ხუროთ-მოძღვრებისა, რაის შესწავლა და ნათელყოფა სპეციალისტთა საქმეა. — ამიტომ ქართული ხუროთ-მოძღვრება ქართულ ხუროთ-მოძღვრებად რჩება, სომხურის წაბადებითაც რომ იყოს იგი პირველად შექმნილი, სრულიად თავისებურად და ქართველის საწმინდოებრივ განცდლათა გამოხატულებად. მაგრამ ყურად-საღები აქ ის არის, რომ შტრიგოვსკიც და მისი წინამორბედი მეცნიერებიც სცდებოდნენ, როდესაც იგინი

ამ ხუროთ-მოძღვრების წარმოშობის ნისდაგად სომხეთს სთვლიდნენ. ქართული ძეგლები „სომხური ხუროთ-მოძღვრებისა“ უფრო ძველი აღმოჩნდა ვიდრე სომხური და უახლესმა კვლევა-ძიებამ (გ. ჩუბინაშვილისა, ამირანიშვილისა და სხვ.) ცხად-ჰყო, რომ ეს ხუროთ-მოძღვრება საქართველოში დაიბადა და არა სომხეთში. საქართველოთგან ვაგვრცელდა მისი „გავლენა“ არა მარტო სამხრეთისაკენ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ, არამედ ჩრდილოეთისაკენაც. ეს ძლიერ არ უამა განსვენებულ შტრიგოვსკის და მის სკოლას, მტრული გრძნობებით და სიმართლის მძებნელი მეცნიერის არა შესაფერისი სიტყვებითაც კი დაეტაკენ ისინი ქართველ მეცნიერთ და მათ მსგავსად მოაზრეთ, მაგრამ სიმართლე სიმართლედ დაჩჩა, იგი რისხვით და წყრომით არ წარმოიშლება, ხოლო ამით არც სომხის ხელოვნებით ნიჭს დაჰკლებია რამ და არც მისი ხუროთ-მოძღვრების ეროვნულობას და ორიგინალობას.

ქართული მწიქროლობა, რომლის დასაწყისი ჩვენ იეციით მესხეთე საუკუნითგან ქრ. წ., ავკრეთე ქართული შემოქმედების ნაყოფია. თარგმანი საღმრთო წერილისა უცხო ენებითგან ამის წინააღმდეგ სრულიად არაფერს ჰმოწმობს. ქრისტიანი იერები ურთი-ერთის ენათაგან სთარგმნიდნენ ჩელიგოური შინაარსის თხზულებებს: ლათინები ბერძნულითგან, ბერძნები სირიულითგან, სირიელები ბერძნულითგან, სომხები სირიულითგან და ბერძნულითგან, ქართველები სირიულითგან, სომხურითგან და ბერძნულითგან და სხვ.. ქართული თარგმანები უმთავრესად ბერძნულითგან არის ნაწარმოები. გიორგი მთაწმინდელი ამბობდა, — ჩვენ გვქონდა კეთილი თარგმანები საბა-წმიდური (ე. ი. წმ. საბას ქართულ მონასტერში თარგმნილი) და ხან-მეტეცაო. მხოლოდ რაოდენიმე წიგნი ითარგმნა სომხურითგანო. თავის დროზედ ნ. მარრმა ძლიერ შეუტია გიორგი მთაწმინდელს, — ვნახავთ, თუ მარტო „რაოდენიმე წიგნი“ ითარგმნა ქართულად სომხურითგანო! მაგრამ მიუხადავად ბევრი ჩხრეკისა მან ვერ დაამტკიცა მთელი უძველესი ქართული საქრისტიანო მწიქროლობის სომხურითგან თარგმნა და დაჩუმდა. ელიოზი მთაწმინდელის ცნობა კი მართალი გამოდგა: აღმოჩნდნენ პალიმფსესტები მემვიდესაუკ. ხან-მეტე ტექსტებით, — უფრო ძველი, ვიდრე სომხური ძეგლები, ცხადი ნიშნებით ბერძნულითგან თარგმნილობისა. აქ საკვირველი

არაფერი, რასთვანაც ქართველები ქალკედონური მართლმადიდებლობის მიღებისა და სომეხთაგან სარწმუნოებრივად განსყოფის შემდეგ სომხური თავის საღმრთო წერილის თარგმნას მიუტებლად ჩასთვლიდნენ. ქართველთა მონასტრები აგრეთვე განსაკუთრებით ბერძნულ საჭრისტიანო სტეროში მოღვაწეობდნენ და შესანიშნავ ათონის იბერთა მონასტერში დამთავრდა თარგმნა საღმრთო წერილისა ბერძნულითგან დიდ ქართველ მწერალთა მიერ. — პალიმფსესტა აღმოჩენამ დიდად აღაფფრთხილებს და მიცემისა და მიღებისა შეცნობები, განსაკუთრებით ნ. მარჩი და მისი მოწაფე დონდუა. ეს ფაქტი ცხადი მხილება იყო მათი თეორიის სიჭრეტისა, და იგიინიც არა მართებული სიტყვებით, გაცოფებულნი შეებრძოლენ ივ. ჯავახიშვილს, — მიცხრე საუკ. უნდოდან პალიმფსესტების გადმოტანა, — მავრამ ივ. ჯავახიშვილის მაგარი და დასაბუთებული პასუხის შემდეგ „მიცემისა და მიღების“ თეორეტიკოსები კვლავ დააღმდნენ. —

ჰაგიოგრაფიული მწერლობა ქართული (მოწამეთა და წმიდათა ცხოვრების აღწერა) ორიგინალურად არის და ნათარგმნიც. აქაც ქართული საჭრისტიანო მწერლობა იმავე ზნახს ადგა, რაგვარსაც იგივე მწერლობა სხვა ქრისტიან ერთა: აღწერდნენ ეროვნულ მოწამეთა და წმიდათა (ცხოვრებას და სთარგმნიდნენ უცხოთა ცხოვრების აღწერას იმ ენებთაგან, რომელითაც იგი იყო დაწერილი. ხოლო რაგვარსაც პალიმფსესტთა ქართული ჰმოწმობს, რომ იგი იყო მდებარე ქართული სამწერლობო ენის ხანგრძლივი განვითარებისა, ნაყოფი ქართული მტყველებითი შემოქმედებისა, აგრევე ენა ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებათა, თარგმნათა და უფრო ორიგინალურთა, გვაჩვენებს, თუ სიმართლის რა საფუძვლისათვის მიუხედავად სამწერლობო ქართულს მესხეთე საუკუნითგან მეთემდე: „წმ. შუშანიკის ცხოვრება“ იაკობ ხუცესისა (V ს.), „აბო თბილელის ცხოვრება“ იოანე საბანისძისა (VIII ს.), „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გიორგი მდინარელისა (X ს.), „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“ გიორგი მთაწმინდელისა (XI ს.), „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ გიორგი ხუცეს - მონაზვნისა (იმვე დროისა) და მრავალი სხვა მაღალი ღირების სამწერლობო ძეგლები; ფრიად მხატვრული ენით დაწერილი, საინდო ისტორიული წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, უაღრესად ორი-

გინალური და არა უცხოთა წაბადვით შეთხზული, შინაარსით უფრო მდიდარი და საინტერესო, ვიდრე მრავალი ბერძნული, სირიული და სხვა ჰაგიოგრაფიული თხზულებანი. ეს იცრდა მათმა ღრმად შემსწავლელმა მამა პეტერსმა და ამიტომ სთარგმნიდა მათ საჭრისტიანო ჰაგიოგრაფიული მწერლობის გამდიდრებისათვის. და ეს შესანიშნავი ძეგლები მით იყო შესანიშნავი, რომ იგი „გაფლენას“, „მიცემას“, „წაბადვას“ ეს არ შეუქმნია, არამედ ნიჭით აღსაყვან ქართველ მწერალთა კალამს „აღწერა“ იგი, რომელთაც ეროვნული ტრადიცია ჰქონდათ მწერლობისა.

თვით „წმიდათა ცხოვრებებში“ იყო მთანაჩენი ქართული საისტორიო მწერლობისა. ხოლო პოლიტიკურმა ცხოვრებამ ერისა დაშადა საჭიროება „ამბავთა“, „საქმეთა“, „მეფეთა ცხოვრებისა“ აღწერისა, საქართველოშიც ისევე, როგორც ყველგან, სადაც ერს პოლიტიკური ცხოვრება ჰქონდა და მერვე საუკუნითგან უკვე ჩვენ ვხედავთ დამოუკიდებელ დარგს ისტორიული შინაარსის ქართული საერო მწერლობისა. თუ პირველი საისტორიო თხზულებანი ზოგნი ქრონიკანი არიან, ზოგნი ლეგენდარულ ამბავთა მომთხრობნი, ასეთ მოვლენას ყველა ერთს საისტორიო მწერლობაში ვხედავთ. მავრამ „ქართ. ცხოვრების“ (ან „წმ. ნინოს“ ცხოვრების) ლეგენდები ამხვე დროს იმდენ მნიშვნელოვან და ნამდვილ ცნობათ შეიცავს, გარდამონაცემთ უმოჩეულისა წარსულისთგან ჩენი ერისა, რომ მათი გამოყენება შეცნობულად იდგესაც არ დამთავრებულა. ხოლო ქართული ისტორიული თხზულებანი თანამედროვეთა ისეთი განსაკუთრებული წესით, შეცნობული მეთოდით, სიმართლის საყვარელით და ღირსებით აღსაყვან სტილით არიან დაწერილი, რომ მათი მკვლევარი ამ თვისებებით ქართულ საისტორიო თხზულებათა განცვიფრებული და აღტყბულიც რჩება. „მატიანე ქართლისაჲ“, ცხოვრება მეფეთ - მეფისა დავითისა“, თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებანი („ისტორიანი და აზმანი“ და სხვ.), ჟამთა - აღმწერელის თხზულება (მონღოლთა ხანისა, XI - XIV ს.) არაჰგვანან არც სომხურს, არც არაბულს და არც ბერძნულს საისტორიო თხზულებებს (თუმცა ქართველმა ისტორიკოსებმა კარგად იცოდნენ უცხოთა საისტორიო მწერლობა და განსაკუთრებით ბერძნულს აქცევდნენ ყურადღებას). მათ აზის ბეჭდით უაღრესი ორიგინალობისა, მიუხე-

დავად იმისა, რომ ჩვენი ისტორიკოსები უცხო წყაროებითაც სარგებლობდნენ, — სხვანაირად ისტორიის წერა არც შეიძლება, — და აქ არც „მოცემანედ“ უცხოთა მიერ და არც მათ „გაველენანედ“ და „წაბაძვანედ“ საუბარიც არ შეიძლება. ეს თხზულებანი, აღსაფასენი ნამდვილი ცნობებით, დაკვირვებებით და მხალისი, უშიშარი და კეთილშობილი აზრებით უმთავრესნი წყარონი არიან ჩვენი ისტორიისათვის და სამართლიანდაც. მათი ნაკლი ის არის, რომ ისე ვრცელნი და იმდენ ცნობათა შემცველნი არ არიან, რაგვარადაც დღეს ჩვენთვის სასურველი იქნებოდა, მაგრამ ერთობ მათი თვისებით და შინაარსით ივინი მათი დროის უცხო საუკეთესო ისტორიულ თხზულებათ არ ჩამოუვარდებიან.

ქართული სიტყვა - კახმული მწერლობის წარმომშობი ქართველი ხალხის თხოვრისა და მღერის მოთხოვნილება იყო, როგორც ყველგან, სადაც ასეთი მწერლობა შექმნილა. განსაზღვრულ პირობებში, განსაზღვრულ საფეხურზედ ერის კულტურული განვითარებისა ჩნდებიან დიდი ხელოვნებით შექმნილი ძეგლი სიტყვის დიდ ხელოვანთაგან, და რაც უნდა ჰქონდესთ მათი უცხოთაგან „მიღებული“ და „შეთვისებული“, ფესვები მათ ქმნილებათა ერის სულშია, და ნიჭი მათი აზნებისა, შემქმნელი მათი ღირებულებისა, შემოქმედისა, მაშენებელის კუთვნილება, და არა ივარეთაგან ვისგანმე მოცემული. „სიძრძნე ბალაფარისა“, ეს შევნიერი თარგმანი თუ გადაკეთება (XI ს.) შეიძლება სირიული ევრსიისა, სასიამოვნო საკითხავ წიგნად დარჩა ქართველთათვის, ვითარცა სასულიერო სკოლანი, მაგრამ ჩვენი სიტყვა - კახმული მწერლობისათვის მას მიმართულება არ მიუცია. ეფთვიმე მთაწმინდელსა იგი ბერძნულად თარგმნა ქართულითაგან და შემდეგ იგი მთელს ევროპაში გავრცელდა, მაგრამ ევროპის ერთა სიტყვა - კახმული მწერლობა ამით არ დაზღვარა განვითარების განსაკუთრებულ გზაზედ. ერთობ არც სომხურს, არც სირიულს და არც ბერძნულს სიტყვა - კახმული მწერლობას ქართულ სიტყვა - კახმული მწერლობაზედ არავითარი ისეთი გავლენა არ მოუხდენია, რომ მისთვის გზა გაეჩინოს განვითარებისა, და ევრც მოახდენდა, რათაგანაც მათი ღირებულება ძლიერ მდარე იყო, — საუბარიც კი ძნელია საშუალო საუკუნეთა სომხურ, სირიულ, თვით ბერძნულ სიტყვა - კახმულ მწერლობაზედ!

„წასაბაძვი“ მაგალითი ჩვენი სიტყვა - კახმული მწერლობისათვის არამტლ - სპარსული სიტყვა - კახმული მწერლობა იყო, — უფრო სპარსული, — მაგრამ ძირი ჩვენი სიტყვა - კახმული მწერლობისა არც ამ წაბაძვაშია. მისს დასაწყისს ჩვენ ეხედვით უკვე „წმ. შუშანიკის ცხოვრებაში“, „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ და სხვ. რუსთაველის ლექსით არის დაწერილი „ბეთლემის საგალობელი“ ფილიპესი (X ს.?), ეს ლექსი კი „ხალხური“ იყო და დარჩა დღემდე საქართველოს ყველა კუთხეში.

ქართული ფეოდალური კულტურის წილში აღზრდილი ხელოვანი სიტყვისა დიდ „განათლებულნი“ იყვნენ: მათ იცოდნენ ბერძნული, სპარსული, არაბული მწერლობა. მრავალი სახე ამ მწერლობათა ქმნილებათაგან რასაკვირველია მათ თვალ წინ უდგათ და მოსწონდათ კიდევ. მაგრამ მათი შემოქმედება აქეთაგან კი არ მომდინარეობდა, არამედ იგი იყო წმიდა ეროვნული, ქართული პატრონ - ყმობის საზოგადოებრივობის და კულტურის ნიდაგზედ შესაძლებელი. ქართველი „შემსხმელითა“ ლექსები არც ბერძნულისა და არც სპარსულ - არაბულის წაბაძვით არ იყვნენ დაწერილი, არამედ კარის პოეტთა, ქართული კარის კულტურის მქონეთა მიერ, თუმცა მათ ლექსებში ბერძნული სიტყვებიც არის და სხვა უცხოც. „ამირან - დარეჯანიანი“ სპარსულ ორიგინალს, საითგანაც ის უნდა იყოს თითქოს „გადმოკეთებული“, ამოდ ეძებენ მკვლევარნი, იგი არ არსებობს. „ამირან - დარეჯანიანი“ ქართული რაინდული ცხოვრების მოთხოვრება მხალისი ხელოვნებით, და მაშინდელი ნიდაბით, თითქოს უცხო ქვეყნებში იქმოდენ რაინდნი მათ დიდ „საქმეთ“. სპარსული გავლენა სომხეთში კიდევ მეტი იყო ვიდრე საქართველოში, მაგრამ იქ „ვეფხის - ტყაოსანი“ არ დაწერილა და არც თვით სპარსეთში დაწერილა მსგავსი რამ. რუსთაველის სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავქვი“, — ესეც ნიდაბია, რათგანაც რუსთაველს „შეფარვით“ უნდა იქნა „ექო“ თავის თხზულებაში საქართველოს ხელმწიფენი. ცხადად მან ივინი „ექო“ „ისტორიათა და აზმთა“ შინა. — რუსთაველის „კარის პოეტობა“ ზღაპარია. იგი თავისუფალი, დიდი ხელოვანი იყო, მაგრამ რიდი მეფეთა, რომელთა ცხოვრება „სახედ და დარად“ არის „ვეფხის - ტყაოსანში“ თქმული, მანც ჰქონდა მას, და ამიტომ მოიგონა მან სპარსული ამბავი,



„ქართულად ნათარგმანები“. ესხტანგმა ეს იცოდა და ამბობს: „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება, ამბავიც თვითონ იაკაკეთა (რუსთველმა)“-ო და სხვ. *) რუსთველის „ე. ტ.-ში“ სწანს ელემენტები მისი დროის კულტურული გარემოცულობისა, მაგრამ იგი წმიდა ქართული ძეგლია სიტყვის ხელოვნებისა მაშინდელი ქართული პატრონ - ყმობისა და მისი კულტურული გარემოცულობის ნიჲდაგზედ შექმნილი, და ამიტომ არ შეიძლება იყოს იგი ნაყოფი ან სპარსულ - არაბული ან სხვა უცხო გავლენისა, რათგანაც ქართული პატრონ - ყმობა დიდად განსხვავდებოდა მაშინდელ სპარსულ, არაბულ ან ბიზანტიურ საზოგადოებრივ ანაგებთაგან. იგი დასავლეთ - ევროპულს უფრო ჰგავდა ვიდრე ამ უკანასკნელთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დასავლეთ ევროპასთან ისეთი ახლო კავშირი არ ჰქონია, როგორც აღმოსავლეთ რომთან და აღმოსავლეთთან. ამისი მიზეზი ღრმა და განსაკუთრებული, რაიცა სპეციალური კვლევის საგანი უნდა იყოს, და აქ ამაზედ სიტყვას ვერ განვავტობთ.. ხოლო მკითხველმა ყურად უნდა იღოს შ. ნუცუბიძის მიერ ღრმად გამოკვლევა რუსთველის მსოფლიოს - ხედვისა და სხვ., რომ დაინახოს, თუ ვინ იყო რუსთველი და რაგვარია მისი შემოქმედება (იხ. მისი „რუსთველის სოფლმხედველობისათვის“, შრომები I, გვ. 1 - 54). აქ დაკვირვებული მკითხველი „სპარსული ამბავის“ არ არსებობის სიტყვადგანაგანის და მაშინ საესებით წარმოიდგენს სიმრუდეს იმ იგისა, რომელსაც ადგენ რუსთველის მკვლევარნი, ეძებდენ რა ამოდ „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულ „ორგინალს“, აცხადებდენ რა თვით რუსთველს მისულომანდაც კი და სხვ. და სხვ.. — რუსთველის მეფენი არაბთა შეიხები და სპარსეთის შაკები არ არიან, არც მისი რაინდები სპარსთა „პილოტანები“, არც თინათინი და ნესტარდარეჯანი ჰარამხანის ან

გინეკიონის ქალები, არამედ ფეოდალური საქართველოს მეფენი, რაინდნი და დედოფალნი, მიუხედავად ბევრის რაისამე გარეგნულისა, რაიცა „გ. ტ“-ში „სპარსულია“, ან „არაბული“, „ბერძნული“ და სხვ..

უცხო გავლენა და უცხო ბაძვა ჩვენი დაცემის დროს იყო, როდესაც მონღოლთა მიერ საქართველოს განადგურების შემდეგ, ორმა მძლავრმა იმპერიამ საუკუნეთა განმავლობაში ძიძგნა ჩვენი ერის სხეული და შემოქმედებითა ძალამ ერისა იკლო. მთელი სამხრეთ - დასავლეთი საქართველო დაიღუბა ეროვნულად და იქ სულ გაქრა ეს შემოქმედებითი ძალა, ხოლო დანარჩენ საქართველოში სხვა და სხვა — „იანთა“ თარგმანებით და მიბაძვით იყვნენ კმაცოფილნი, რათგანაც მთელი ენერჯია ერისა სიკვდილისაგან გადაჩენას ეწირებოდა და კულტურული შემოქმედებისათვის არც სიწყნარე, არც მოცალეობა, არც მყარი წეს-რიგი ცხოვრებისა აღარ იყო. აქ სხვა მოვლენათა შორის სულხან - საბა - ორბელიანს შეგვიძლია მივაპყროთ თვალთქმედგომად ამ დიდი დაცემის ხანისა და მის შემდეგ ბესიკს, ვითარცა სასწაული ქართული შემოქმედებითი სულის სრულიად არ გაქრობისა. მაგრამ განვლეს რა ამ „შავთა დროთა“, მეცხრამეტე საუკუნეში, მიუხედავად პოლიტიკური დამონებისა და მიმძლავრებელთა წინააღმდეგ ბრძოლისა, ქართული შემოქმედებითი სული კვლავ გაცხოველდა: მოგვევლინენ ბარსთაშვილი, გრ. ორბელიანი, შემდეგ ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა - ფშაველა და სხვანი, შემდეგ გრ. იობაქიძე და სხვანი. მწერლობის გარდა კულტურის სხვა დარგებშიც გამოჩნდა შემოქმედებითი ნიჭი ქართველისა, და წარმოიშვა ახალი ქართული კულტურა ახალგარემოცულობაში, რომელიც, მიუხედავად საქართველოს ახალი ურთიერთობისა სხვა კულტურულ ერებთან, ისევეა ქართული და არა რუსული ან წმიდა ექროპიული, რაგვარადაც ძველი ქართული კულტურა იყო ეროვნული და არა სპარსულ - არაბული ან ბერძნული, მიუხედავად ქართველთა მაშინდელი ურთიერთობისა მეზობელ კულტურულ ერებთან. ვაჟა - ფშაველას, აკაკი წერეთლის, გრ. იობაქიძის შემოქმედებაში ისევე არაფერია რუსული, ან ფრანგული, ან გერმანული, რაგვარადაც რუსთველის შემოქმედება არ იყო სპარსული ან ბერძნული.

*) დანარჩენი სიტყვები ესხტანგისა: „და ლექსადაც ამისთვის უბნობს, რომ სპარსის ლექსის ბაძვედ რომ სთქვა, სპარსული ამბავი ქართულად ესთარგმნეო“, გაუგებარია: რუსთველს „სპარსის ლექსის ბაძვედ“ არ „უთქვამს“, არამედ ქართული მღერის ლექსით თქვა. და არც ის უთქვამს, „სპარსული ამბავი ესთარგმნეო“, არამედ „სპარსული ამბავი, ქართულად ნათარგმანები“, ეპოვე და გავლექსეო (იხ. ესხტანგისეული „გ. ტში“ 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფ. 1737, გვ. სჲ).

რომელი „გავლენით“ ან „წაბაძვთ“ იყო შექმნილი ქართული მუსიკა, ეს საკვირველი და



უხარესად შეენიერი სხვა ერთა მუსიკათა შორის? ძველი ქართული საეკლესიო მუსიკა უძველესი საწარმართოთვან მსომდინარეობდა. რაღაც დღეს დაგვჩინია მისგან, იგი უმაღლესი ღირებისაა და წმიდა ეროვნული. ასევე, მდიდარია და შეენიერი ქართული საერო მუსიკა, და უნდა მოველოდეთ, და ეს მოლოდინიც გამართლდება, რომ ქართველი მუსიკის - შემოქმედნი კაცობრიობას უდიდეს მუსიკალურ ქმნილებათ მოუძღვნიან ფას - დაუდებელ ძღვენად, ვინაითგან ის ერი, რომელმაც ასეთი „ხალხური“ მუსიკა შექმნა, მისგან უდიდეს ქმნილებათა შემთხვევლათაც წარმოშობს.

ასევე შეგვიძლია განვიხილოთ ყოველი დარგი ქართული კულტურისა. ზოგჯერ მეტი სჩანს ქართული შემოქმედებითი ძალა, ზოგჯერ ნაკლები, მაგრამ ამ მოვლენას ყოველი ერის კულტურის ისტორიაში ვხვდებით. მთავარი ის არის, რომ ყველგან სჩანს ნამოქმედარი ერის სულიერი ენერჯისა.

და ბოლოს, რომელი „გავლენით“, ან ხელით - შეწყობითაც კი შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო და შემდეგ კავკასიის იმპერია, საქართველოს სახელმწიფო საფუძვლზედ დამყარებული? ირანისა, რომისა, საბერძნეთისა? არა, არამედ სწორედ მათ წინააღმდეგომ ბრძოლით შექმნეს ქრ. წინათ ქართველთა ტომებმა უძენელეს პირობებში კავკასიის ნიადაგზედ საქართველოს სახელმწიფო, რისთვისაც კულტურაც დიდი იყო საჭირო, პოლიტიკური შემოქმედების ნიჭიც და ეროვნული შეგნებაც. — ქრ. შემდეგ, საშუალო საუკუნოებში, საქართველოს სახელმწიფომ შეუქმნა ქართველ ერს ყოველი პირობა ახალი კულტურული განვითარებისათვის და მე-XI-XII ს. ცხედავთ მდიდარს, ძლიერს და კულტუროსან ქრისტიანულ საქართველოს; რომელმაც შესძლო მთელი კავკასიისა და სომხეთის შემოერთებით მაშინდელი დროისათვის დიდი იმპერიის შექმნა, — არა შემოერთებულ ერთა შეწყობებით და მათი გადაგვარების პოლიტიკით, არამედ მათი ეროვნებისა და საარწმუნოების პატივის - ცემით და მათი დაცვით საერთო მტერთა წინააღმდეგ. თუ ეს დიდი პოლიტიკური სხეული მოწოდებულა დაამხვეს (ამის მიზეზებზედ აქ საუბარი არ გვმართებს); პოლიტიკურადაც დაშლილ ქართველ ერს კიდევ შესწევდა ძალა საუკუნეთა განმავლობაში ორ დიდ იმპერიას გამკლავებოდა ისე, რომ არ აღიგავა პირისაგან მიწისა. მან საუკუნე - ნახევრის

რუსის ბატონობასაც გაუძლო. დღესაც განაგრძობს იგი აჩხებობას, ვითარცა კულტურული ერი; გამომჩენი შემოქმედებითი კულტურული ძალიან, მიუხედავად მის პოლიტიკურ ბარკილთა, და ერთხელ განთავისუფლებული ამ ბორკილთაგან ამ ძალას იგი უფრო მეტი რაოდენობით გამოიჩენს. და ყოველივე ამას იგი დიდ სარგის უნდა უმადლოდეს თენიერ თავისი თავისა!

ასევე შეგვიძლია განვიხილოთ ყველა ერთა კულტურა: ზოგჯერ ვიხილავთ მეტს ნიჭს ეროვნული შემოქმედებისა, ზოგჯერ ნაკლებს, ზოგჯერ კულტურის ერთი დარგის უფრო მაღალ განვითარებას, ვიდრე მთლიანს, და სხვ. მაგრამ ყოველი ერის კულტურა ერთობ ეროვნული შემოქმედებითი ძალის მიერ ქმნილად მოგვევლინება, მიუხედავად იმ გარემოცულობისა, სადაც ეროვნული ენერჯია მოქმედებდა, უცხო საც ითვისებდა, ხოლო ეროვნულად გარდაქმნიდა.

და ყოველი მტრული ისარი, გამოსროლილი რომელიმე ერის წინააღმდეგ მის დასამცირებლად თვით „შეცნიერთა“ მიერაც, არის მხოლოდ „სიტყვა უმეცრული“, რომელიც უფრო მსროლელთ აძნებს, ვიდრე მათი სროლის საგანს.

რა უნდა თქვას მხგ. კუფტინმა, თუ მისი სიბრძნით, რომლითაც მან ქართველ ერს მეზობელთა მიერ „გამოარკვევია თავი“ და თვით იგი რაღაც ჩამორჩენილ ერად დასახა, მის მშობელ ერს მივუდევით? რუსებს ანბანი „მისცეს“ კომტებმა, ქრისტიანობა ბერძნებმა, პირველი სახელმწიფოებრივობა სკანდინავიელებმა. ალბათ უნდა სიტყვა მათი ენისა ფინებმა და მონღოლებმა ამ უკანასკნელებმა წესი ცხოვრების გაჩვენებისა, შემდეგ ევროპელებმა ევროპული განათლება და სახელმწიფოებრივობა, კერძოდ გერმანელებმა დინასტიაც კი, და სხვ. ნუ თუ ამით მოხდა კულტურული და სახელმწიფოებრივი „თვით-გამორკვევა“ რუსის ერისა? კუფტინი რასაკვირველია სხვას გვეტყობდა და დიდი სიამაყით მოგვითხრობდა თვისი ერის შემოქმედებით ნიჭზედ, და სამართლიანადაც, ხოლო იგი მისი საკუთარი დებულების წინააღმდეგ უნდა წასრულიყო აუცილებლად; რომელიც მას საქართველოსთვის მიაჩნია მართლად, თვის ერისათვის კი არა: დიან, მიუხედავად უცხოთაგან მრავლის „მიღებისა“, რუსის ერმა თვით შექმნა თვისი კულტურაც და თვისი სახელმ-



ფიზიკური ქართული ქალი და ბედი ქართლისა

ამა თუ იმ ტომის, ერის, ან რასის გარეგნულ მომგებიერებას უმთავრესად ამგვე ტომისა, ერის ან რასის ქალით აფასებენ ხოლმე. ქართველი ქალის მომგებიერებას ძველთაგანვე შორს ვაძიოქვა სახელი. ქართველი ერთი ითვლება ერთ-ერთ ყველაზედ უმომგებიერეს რასად დედამიწის ზურგზედა. რომელი ძველი და ახალი ენციკლოპედიაც არ უნდა გადაშალოთ, თქვენ იქ შესვდებით ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი ქართველი ქალის, სილამაზის წარმტაც აღწერილობას. ძველი და ახალი მოგზაურების ცნობებიც იწინასწად აღასტურებენ მათივე თვალისთხილულს ქართველი ქალის სიტურფეს; კეთილშობილურ აღნაგობას, თმა - თვალი - წარბ - წამწამთა საოცარი სიმშრენეს, მომხიბვლელობას, მიმზიდველობას და ეშხს, მიმოხვრას, სინაჩნარე - სიკეკლეცეს, სინაზეს, გულკეთილობას და სხვა მრავალ, შეტად კეთილშეხავებულ თვისებებს. ხშირად მკითხველი ვაკვირდება წაკითხულით და ძალაუნებურად ეკითხება თავის თავს: ნუთუ სამშენოში არსებობს ასეთი, არა ამქვეყნიური, სილამაზის ქალები, რომელნიც მხოლოდ ზობარებში გაუგონია კაცს, ან დიდ მწერალთა ჩინებულ თხზულებებში ხელოვნებით ჩემოკვეთილნი წაუკითხავს? ჩვეულებებისამებრ, წაკითხულის შემდეგ, აღამიანი თავის ოცნებაში ჰქმნის დაუჯერებელი სილამაზის წარმოდგენებს. პირისპირ ნახვია შემდეგ კი უმეტესად

მოლოდინი არ უმართლდება... და ეს მაშინაც კი, თუ მის წინაშე, მდგომი არსება მართლაც განსაკუთრებული სილამაზისაა. ქართველი ქალი ამგვარი მდგომარეობიდანაც გამარჯვებული გამოდის. მისი სილამაზის რეტუტაცია იგივე რჩებოდა ყოველთვის. ხშირად კი მეტ ქემასაც მიიღებდა. მაგალითად მე-17-ე საუკუნის ფრანგი მოგზაური ტურნეფორი ამბობს: ქართველი ქალები მათხედ თქმულს სილამაზის ქებას არამც თუ საცხები თმარტლებენ, არამედ მეტი შექების ღირსნიც არიანო. — ამასვე იმეორებენ სხვანი მრავალნიც. ამ 130 წლის წინ რაინდი გამბა, საფრანგეთის კონსული თბილისში სწერდა თავის წიგნში:

«Les Géorgiennes ne sont pas au-dessous de leur haute réputation de beauté; cette régularité de traits, dont les belles statues grecques nous ont laissé le modèle, une taille élancée, la blancheur de la peau, la douceur des regards, distinguent une Géorgienne!».

მე-20-ე საუკუნის დანაწყისში ჰენრი ნორმანის შეკითხვას იძლევა და თვითვე ჰპასუხობს:

„განა ქართველი ქალები არიან ისეთი ლამაზები, როგორც ჩვენ ყოველთვის მათხედ გვეუბნებოდენ? მე შემეძლო შემემოწმებინა ფანჯრებში გამოშხირალე, აგრეთვე ქუჩაში გამე-

1) იხ. Gamba, chev. de. «Voyage dans la Russie meridionale et particulièrement dans les provinces au dela du Caucase, Paris 1826, 2 vol. (Chap. VII p.p. 184-199).

წიფოებრივობაც. და ბოლო ხანაში თვისი ისტორიისა, შემოიგლიჯა რა უცხო, გამოჩნდა იგი თვისი წმიდა ბუნებით, და ეს მისი ბუნება ასევე განსაკუთრებულ ბეჭედს დღევანდელ მის კულტურასაც და მის სახელმწიფოებრივობასაც!

შეუხაბამოა ხშირად ერისა და პაროვნების შემსგავსება. მაგრამ მიუხედავად ამისა საქრთო რამ უნდა მოვიგონო: ი. ტოლსტოის თვისი რაგვარადაც უცნაური ისე მცდარი ფილოსოფიით და მართლ - საჩინოდ თვისი ბუნებითაც დიდი კაცები ეხიარებოდა თვალში და მათ ჩამოგდებს ჰლამობდა მათ მაღალ კვარცხლბეკთაგან: ჯერ ნაპოლეონს მოუდნომა ჩამოგდება, მერმე დანტეს და მექსპირს, მერმე „მუსიკის მექსპირს“ ბეტჰოვენს. ხოლო ვერც ერთი ვერ ჩამოაგდო განსვენებულმა, ის ჭივანტები კვლავ დგანან შეურყეველად მათ მიუწდომელ

სიმაღლეზედ და იქვე დარჩებიან მარად, ვიდრე კულტურული კაცობრიობა არსებობს, თვისი ტოლსტოის სიდიდე კი რაც დრო გადის, მით უფრო კლებულობს. ასევე კულტურული ერის ჩამოგდება მისი სიმაღლითგან, რომელსაც მან შიხაწია საუკუნეთა განმავლობაში დვაწლით და შემოქმედებით, მისი კულტურის გამოცხადება რომელიმე მენობლის კულტურულ დანაღვეად, და სხვ., უაზრობაა და უმეცრობა. საწყალი ჩონის კულტურაც „მიცემისა“ და „მიღების“ ფილოსოფოსთა სიბრძნით ბერძნულის წმიდა „განაღვეად“ ჩათვლებოდა! ხოლო, მადლობა უფაღს, ეს „ბრძენნი“ რომს ძვირად უბედავენ, რაიმე შესავსი ჰკადრონ!..

გაგრძელება იქნება

ლელო ქალღმერთის სახეებით, რომ არსებობს განსაკუთრებული მშვენიერება მათ შორის — მშვენიერება იდეალურად გამოსახული მოყვანილობისა, მათი რასიული ტიპისათვის მართლაც შესაფერისი. დიდი, წყნარი თვალები, მკვრივი, სავსე პირი, ალიბასტრისებური კანი, ინდიგოსებრი შავი თმა... თქვენ გრძნობთ, რომ ესენი არიან ქალნი, რომელთა ტუჩებს შეუძლიათ ვნებიან სიყვარულზედ ჩურჩული, მხარამ, როდესაც ამისათვის დრო მოვა, იმდერებენ მალალ სიმღერებს, რომელითაც იგინი თავიანთ ქმრებს ბრძოლაში გზავნიან; რომელითა თითებს შეუძლიათ იპყრან ხანჯალი, ან სუბუქად ამოკვრან ჩონგურის სიმებს თანაბარი წარმატებით“ 1).

ქართველ ქალთა და ვაჟთა სილამაზის რეპუტაციასზე მეორე ამერიკელი, 1911 წელს სწერდა: „რაც უფრო მეტად ვხედავთ ჩვენ ვაჟებს და ქალებს საქართველოსას, მით უფრო მეტად შეგვიძლია შევფასოთ ის რეპუტაცია, რომელიც მათ აქვთ მოპოებული მშვენიერთა შორის მთელი ქვეყნისა. ვერცერთს ქალაქში ქვეყნიერებისა ვერ იპოვიოთ ისეთი რაოდენობის საუკეთესო შესახვედრობის მამაკაცებს, როგორც ამას ვხვდებით ჩვენ თბილისის ქუჩებში; და ქალებს აქვთ ყველა ის მშვენიერება, რომელითაც ისინი იღიდებიან“ 2).

ზოგიერთებს ეგონათ, რომ ქართველ ქალ-ვაჟთა სილამაზეს მათი ეროვნული ტანთსაცმელის განსაკუთრებული ნაკვთიანობა და ყალიბი კიდევ უფრო ალამაზებსდა. თითქოს ეს სილამაზე დაიჩრდილებოდა იმ შემთხვევაში თუ, მაგალითად, ქართველთა ჩაცმევდით ევროპულ ტანთსაცმელს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველასათვის ნათელი ხდებოდა, რომ ტანთსაცმელობას რასიულ სილამაზესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. და თუ ქართველნი ატარებდნენ კონტად შეკერილ ტანსაცმელს, ეს მათს გემოვნებას და იუმეს ამტკიცებდა. ნაკვთიანს ტანზედ ტანსაცმელიც ნაკვთიანისა!

ინგლისელი მოგზაური, სირი რობერტ კერ-პორტერი, თავხედობასაც არ მოერიდა და, მისი თბილისში ყოფნის დროს 1817 წ., გადასწყვიტა ქართველი ქალი ენახა აბანოში, რასთა ამ-

გვარად უკეთესად დააკვირებოდა მათი ხსენების სიმეტრიულ აგებულებას. მან ეს სურვილი შეისრულა. უცხოელის ამ უცნაურ საქციელს არავითარი აღშფოთება არ გამოუწვევია აბანოში მყოფთა შორის. სრულიად უზრუნველად განაგრძობდნენ თავის საქმეს. უცხოელიც, როგორც შეკვერის ევროპიელს, გულცივად აწარმოებდა დაკვირვებას თავისი აზრის დასასაბუთებლად. — ამგვარი უცნაური ინსპექციის შედეგად იგი იძლევა დასკვნას: „ქართველ ქალთა მშვენიერება ყოველი დავის გარეშეა. მათ აქვთ მშვენიერი, შავი, დიდი თვალები, ძლიერ მწყობრ-ზომიერი მოყვანილობა და სასიამოვნო ნაზი გამომეტყველება სახეზედ. უნდა მივიღოთ, რომ ისინი ზუნებით საამო და სათნოებიანნი არიან“ 1).

უცხოელებმა კარგად იცოდნენ, რომ საქართველო შესდგებოდა სხვადასხვა თანამომხმე ტომებით დასახლებული კუთხეებისაგან. იცოდნენ, რომ ეს ტომები ერთისხელ და ერთხორცნი იყვნენ, მაგრამ მათ შორის მაინც არსებობდა თავისებური, კუთხური ფანსხვაება, თვით გარეგნულ აღნაგობაშიც, კუთხურ ხენ-ჩეულებებს თავი რომ დაეანებოთ. ბევრი უცხოელიათვის ამ ტომობრივი განსხვავების შემჩნევა ძნელი იყო, მაგრამ კარგი დამკვირვებელი მაინც ამჩნევდა. ასეთი ფონიერ დამკვირვებელთაგან გამოტანილი დასკვნით, ქართველი ერი, მისი შემადგენელი ცალკეული ტომებით, წარმოადგენდა ერთს მთლიან, მკვრივად ჩამოსხმულ ეროვნულ ქმნილებას მისი კეკლუცო ქალებით, დარბაისელი მსკოვანებით, რანდით ვაჟებით და მალხაზი ბავშვებით. და თუ იგინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ეს განსხვავება არის მხოლოდ მრავალფეროვნულად გადაშლილი მშვენიერი თავგული ერთი და იმავე ტიპისა, ერთი და იმავე წარმოქმნისა. უცხოელთა ელწერალობით წარმოდგენილი ქართველი ქალის სურათი, უმეტეს შემთხვევაში აღებულია ქართლელი ქალის ტიპითაგან, ან დედა-ქალაქში, ან თვით ქართლის ტერიტორიაზედ.

მაგრამ ენერგიით და ყურადღებით სავსე ევროპიელები, გარდა ქართლისა, მიიღებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისაკენაც: კა-

1) იხ. «All the Russias», travels and studies in contemporary european Russia, Finland, Siberia, the Caucasus and Central Asia, by Henry Norman, New York, 1903, p. 209.
2) იხ. «Around the Blacksea», by William Eleroy Curtis, New York, 1911, pp. 121—122.

1) იხ. Ker-Portert, «Voyage de Sir Robert Ker-Porter, en Géorgie, en Perse, en Arménie», édition anglaise avec planches 1817—20». იხ. გერმანული თარგმანი, გვ. 142.

ხეთისაკენ, იმერეთისაკენ, სამეგრელოსაკენ და აფხაზეთისაკენ. არა სტოვებდენ თუმ - ფშავ - ხევსურეთის, მთიულ - მოხევეთა და რაჭა - ლეჩხუმ - სეანეთის მხალს მთებსაც. იწვეოდენ მესხეთ - ჯავახეთის და გურია - აჭარას. — საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში პოულობდენ იმავე სიტუაციას, იმავე სინაზეს, იმავე წარმოცუტისა ქართველი ქალისას, მაგრამ თავისებურებით შემკულს და გაფურჩქნილს. ვინ არ იცის, რომ მეგრელი ქალებიც იგივე სილამაზისანი არიან, რანიც არიან სხვა კუთხის ქალები, მაგრამ მეგრელ ქალს მოეპოვება რაღაც უჩვეულო, აუწერელი, თავისი საკუთარი „მეგრული“ სიტუაციე, რომელიც მხოლოდ მის კუთხილებას წარმოადგენს და რომელიც მის თან მოსდევს დიდს სახელად ძველი მსოფლიოდანვე!

იყო ერთი მოგზაური, მსწავლელი, ცნობილი გერმანელი ექიმი, ბუნებისმეტყველების პროფესორი იენაში, კარლ კოხი, რომელმაც 1836-37 - 38 წლებში, ხან ცხენით, ხან ქმენით, შემოიარა მთელი საქართველო. აწარმოვა შესანიშნავი დაკვირვებანი ქართველ ხალხზედ, მის ზნე - ჩვეულებებზედ, თვით საქართველოს ბუნებაზედ და დაგვიტოვა ორ ტომიანი შრომა, მშვენიერად დაწერილი, ობიექტურად და სინიღისიერად. — მან საერთო შეფასება გაუკეთა ქართველ ერს, როგორც ერთს მთლიანს, მაგრამ თავთავის ადგილზედ, ამა თუ იმ კუთხის აღწერილობაში, მრავალფეროვან სურათებს იძლევა. ეხება ქართველ ქალთა მშვენიერებასაც. იგი ქართლიდან შევიდა რაჭაში და მოიარა იგი. რაჭის აღწერილობას უძღვნა ერთი მონაწილი თავი თავისი თხზულებისა. ერთგან არას სწერს იგი რაჭველი ქალების შესახებ:

„მთელს იმერეთში არსად მინახავს ისეთი მშვენიერი გოგონები, როგორც იქ უნახე. გოგონების ელვარე, შავი თვალები აიძულებენ ყოველ ადამიანს მათ სამართლისანი განსჯა მისანიჭონ“. 1) გვ. 130 - 131 და -35 - 136, ტ. II, 1843).

კოხის აღტაცებამ უმადლეს მწერვალს მილწისა სამეგრელოში, როდესაც მან მთავრის ოჯახში იხილა გუნდი და გუნდი მშვენიერ მანდილოსანთა და ტურფა ასულთა. — მან ინახულა ხანში შესული მანდილოსანი, ლევან დადიანის

მეუღლე მართა, ასული წერეთლისა, რომელსაც ძველი სილამაზის კვალი კიდევ არ დაჰკარგოდა. მან გაიცნო დადიანის ლეჩხოსი ქალიშვილი ნინო, მთელს კავკასიაში განთქმული ძინი მშვენიერებით და „საქართველოს ვარდად წოდებული, მეუღლე თავად ბაგრატი - მუსხრანელის. ბაგრატიონ - მუსხრანელს თბილისიდან კარვად იცნობდა კოხი, ამიტომ ქართველმა თავადმა მას გააცნო თავისი ახლად შერთული მეუღლე. ამაზედ იგი სწერს:

„თავადის ასულმა მიმიღო გარემომორტყმუმა მრავალი თავისი ახალგაზრდა მეგობარი ქალებით, რომელნიც მშვენიერებით ერთმანეთს ეჯიბრებოდენ, მაგრამ მათა ქალბატონთან შედარებით იყვნენ მხოლოდ ვარსკვლავნი, რომელნიც პირველ საჩინო იქნებთან, თუ მზე, მათგან განეშორება. თავადის სათნოება ნებას მრთავდა დიდანზედ, მისი წარმოცუტე მეუღლის გვერდით დამეჯდარეყავი, და ეწროპიული ჩვეულებებისამებრ. — რომლითაც იგი სიამოვნებით აღჭურვილი უნდა ყოფილიყო, — რომ დავეკმაყოფილებინე, მან მოისურვა, რომ ყველა მანდალოსნები ჩემი თანადაწერებით უთავსაბურავოდ გამოჩენილიყვნენ. ჩემი კავკასიაში მოგზაურობის განმავლობაში ხშირად მქონია შესაძლებლობანი კავკასიელი ქალების, როგორც ინდოგერმანული ხალხის მშვენიერებით გავკვირებულეყავი. მაგრამ როდესაც მე თავადის ასულის ნინოს გვერდით ვიჯექი, მეც იმ არაბივით, — რომელმაც პირველად ჩერქეზის ქალი რომ ნახა, ღვთაებრივობას ხოტბის სიმღერა შეუწყო, — მინდოდა წამომეძახა: „ღმერთო, დიდ ხარ შენ და შენი ქმნულებანი საოცარი!“ სიტყვის სრული მნიშვნელობით, დაბრმავებული ვიჯექი უზმოდ და სუნთქვასაც კი ვერ ვებდავდი, რადგან ვშიშობდი: ჩემს სუნთქვას შეეძლო ანგელოზის ქმნილებისათვის მხოლოდ ვნება მიეყენებია. მორცხვად ავსწევდი თვალებს და კვლავ დაუშვებდი, რადგან სხივოსანი მშვენიერება, რომლისა ასე ახლოს ვიმყოფებოდი, ბორკვდა ყოველ ჩემს აზრს და გარსმერტყმოდა მე მაგური ჯადოთი, რომელსაც მე ტყვედ ვყავდი. იგი იყო აბრეშუმში, ოქროში და ვერცხლში ჩამჯდარი, მაგრამ რამდენად ესენი ყოველივე აგრეთვე ბრწყინავდენ, მაინც მხოლოდ უფერულ ნათობად რჩებოდენ იმ მზის წინააღმდეგ, რომელიც გარს იღობა“ 2).

1) იხ. Koch, Karl, «Reise durch Russland nach dem Kaukasischen Isthmus in den Jahren 1836, 1837 und 1838. Stuttgart und Tübingen, 1842-1843.

2) იქვე. გვ. 190 - 194.



სხვა მოგზაური, მორის ვაგნერი იმერლებ-
ზედ ერთგან ასე სწერს 1):

„იმერეთის მოსახლეობაში იცნობა ქართული
ძირითადი ტიპი, მაგრამ მათი ნაკვეთები უფ-
როს გამომეტყველო და კეთილშობილური არის.
იმერეთის ვაჟთა და ქალთა სილამაზე საქვეყ-
ნოდ განთქმულია. მათი ზედმიწევნით ზომიერ-
ი, მწყობრი, კობტა, კეთილშობილური სხეუ-
ლის მოყვანილობანი წარმოადგენენ ბუნებრივ
მოღვეულებს და მოსჩანან თითქოს იმ ბერძენ ხე-
ლოვანთა მიერ ჩამოქნილად, რომლებმაც ანტი-
ნუსსი და აპოლო შეაქმნეს. აგრეთვე პირსახის
სილამაზით მსოფლიოს ცოტა ქვეყნებს შეუ-
ძლიათ შეედარონ ძველი კოლხეთის მცხოვ-
რებთ, ხალხებს იმერეთისა, სამხევრელისა, გუ-
რუისა და აჭარისას. თვით ამჟამი, გმირული წა-
რმოსადევლობის ჩერქეზი ვაჟკაცებიც კი შათს
უკან დგანან“ 2).

საქართველოში მრავალ წლებს განმავლო-
ბაში მოგზაურობდა და მოღვაწეობდა ცნობი-
ლი გეოლოგი ჰერმან აბიხი, რომელმაც დას-
ტოვა ორი ტომი თავისი წერილებისა. როდეს-
საც იგი პირველად ჩამოვიდა თბილისში, მისი
უპირველესი სურვილი ეს იყო: თვალი მოეკრა
ტურფა ქართველი ქალისათვის, რომელიც ასე
ქებული იყო ივრობაში და რომლის პირსპირ
ხილვას, იგი ასე მოწადინებულა იყო, იგი
ერთს წერილში სწერდა დედას და მეუღლეს:

„ხშირად თვით საბურჯანში გახვეული კვლავ
მშვენიერი ქალის აღნაგობა, პაწია ფეხებით და
მალა ქუსლებიანი ქოშებით, თეთრი ჩითის
ან ტილოს ქსოვილში მთელი სხეულით გახვე-
ული, რომელსაც შუბლს ქვევით თავისუფალი
მხოლოდ სახე მოუჩანს, არიან ქებული ქართ-
ველი ქალები. დღესაც კი იმსახურებენ აგინი
თავიანთს სახელს; მათი მშვენიერი, უმეტესად
მუქი თაფლის ფერი ან შავი თვალები, მათი
კეთილშობილური და მწყობრი ნაკვეთები, და
ნაზი კანის ფერი წარმოადგენენ მათს ერთგ-
ულთა თავისებურებას“ 3).

გასული საუკუნის ორმოციან წლებში ამიერ-
კავკასიაში მოგზაურა ცნობილიმა სოციოლოგ-

მა ბარონ აუგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენმა. ერთ-
ხელ იგი გზად მოდიოდა თბილისთან ახლოს.
მის წინ გაშინდენ მოგზაურები: სამი ცხენოსანი,
მათს შორის ერთი ახალგაზრდა ლამაზი მანდი-
ლოსანი, ქართული ეროვნული ტანსაცმელში გა-
მოწყობილი მხედრები ძალიან მშვენიერი შესა-
ხედავნი იყვნენ. უცხად ქალის ცხენს მისართა-
ვი მოგვია და უნაგირი გადაქანდა ცალმხრივ.
მშვენიერი ასული ისე სუბუქად და სწრაფად
გადმოხტა ძირს, რომ მამა და ძმამ მიშველება
ვერც კი მოასწრეს. თავისი ხელით სწრაფად
შეამაგრა მოსართავეები და ნიავივით მოველო
კვლავ ცხენს. განაგრძეს გზა. სინაზით აღსაქმე
ქალ - მხედარი, თავისი გამოლილი მანდილით,
გვირგვინის მსგავსი ჩიხტით, ყელმოღვრილი და
ნაწნავებ - გადაშვებული, სილამაზე მზეთუნა-
ხავს ემსგავსებოდა. — დიდხანს იდგა გერმანე-
ლი ბარონი მტერიან გზაზედ და გონზედ ვერ
მოსულიყო. „თავი საშუალო საუკუნობის რა-
ინდულ - რომანტიულ ხანაში მეგონაო, — ეუბ-
ნება ბარონი თავის მკითხველებს, — ასეთი ქა-
ლი და ასეთი სურათები მხოლოდ ამ პატარა,
მაგრამ რაინდულსა და რომანტიულს ქვეყანა-
ში (საქართველოში) თუ შეიძლება იხილოთ
დღესო“. (იხ. Baron August von Haxthausen
«Transeaucasia», Leipzig, 1856).

ეს მცირე ფურცლები როგორი დიდიტეხს მას,
რაც ქართველი ქალის მშვენიერების შესახებ
აქმულა ან დაწერილა? ამ ჯერად მცირედი-
თაც დავეკმაყოფილდეთ!

ქართველი ქალის სიტუირფე - სილამაზეს მს-
რტო უტხო თვალი არ ამჩნევდა. ამ სილამაზეს
ხედავდა, რა საკვირველია, თვით ქართველიც.
მთელს ქვეყნიერებაზედ მგონი ისეთის სიდი-
დით და აღტაცებით სილამაზე - მშვენიერებას
ვერგინ უმღერდა, ისე შეფრფვინვით ვერგინ
იცავდა და უვლიდა, როგორც ქართველი! ქა-
რთველ ერს კულტად აქვს გადაქცეული ქალის
თაყვანისცემა. ნინო, თამარი, ქეთევანი და სხვა-
ნი დიდებულნი ბანოვანნი ნათელ - წმიდა ხატი-
ვით სულში აქვს ჩასვენებული ყოველ ქარ-
თველს. რომელ უცხოელსა შეუძლია აღწეროს ქა-
რთველი ქალის სიტუირფე და მშვენიერება ის-
ეთი დიდებულის ხელოვნებით, როგორც მას აღ-
წერს თვით ქართველი? მსოფლიო პოეზიის პა-
რნასზედაც ვერ იპოვით „ვეფხისტყაოსანის“
შესადარ ქმნილებას! იგი სწორედ მშვენიერების
გალობაა მხოლოდ! ქმნულ - კეთილობის და რა-
ინდობის ხოტბაა, თავდადების და სიყვარულის

1) ავტორს „იმერეთი“ განხილული აქვს ფა-
რთო ვაგებით, ე. ი. რაჭა - ლეჩხუმთან ერთად.
2) იხ. Nayner, «Der Kaukasus in der Jahren
1843 bis 1846», Dresden u. Leipzig 1848.
3) იხ. «Aus Kaukasischen Ländern», Reisebriefe
von Hermann Abich. V. 1 1896 Wien, p. 56-57.



სიმღერაა ხმატკბილი. — ვისაც სურს ქართველი ქალის სილამაზის აღწერა წარუშლელი უკვდავო ფერებით, ენის ტკბილ-მუსიკალობით და კაზმულ-სიტყვაობით იხილოს და განიცადოს, მან უნდა შესვას შოთას მიერ მოწოდებული ფილა, და მათობელი ტკბილი შარბათით აღესილი! მხოლოდ ქართველს შეეძლო მინიჭებულია შოთას ვენია, რადგან მხოლოდ ქართველს მოეპოვებოდა ყველაზედ უტურფესი ასული: მადიური წყარო ქმნისა და მშვენიერების შეუღარებელი სიმბოლო! ქართველ ქალს უფლამაზესთა შორის უპირველესად სთვლიან თვით უცხოელნი. მას ღირსული მგალობელი მეხოტბეც მიანიჭა ბედმა; ცათა-სწორი გონიერებით, დიდი შოთა! „ვეფხისტყაოსანის“ ქალთა სახელები: „თინათინი“ და „ნესტან-დარეჯანი“ ქართველთაობათა ათეულ წყებებს გადაეცა, ვითარცა სიმშვენიერის და აღმატებული სილამაზის ნაცვალსახელნი!

ქართულმა ხალხურმა პოეზიამ, ზეპირსიტყვაობამ, თქმულებებმა, გადმოცემებმა, ლეგენდებმა და ზღაპრებმა, მდიდრად შემოინახეს ქართველი ქალის სილამაზის გამომხატველი ნიმუშები. ვის არ გაუგონია შთაგონებით მოყოლილი ზღაპრები „ცხრა - კლიტელში“ დაჩრქანებული „მზეთუნახავის“ ჩქაჩებ? — ამირანის თქმულებაში მოთხრობილია, თუ ამირანი როგორ შეებრძოლა ღრუბელთა მპყრობელს, რომელსაც ჰყავდა შეუღარებელი სილამაზის ასული სახელად კამარი. კამარი ცხოვრობდა თვალწარმატაც სასახლეში, რომელიც მძიმე ჯაჭვებით ჩამოკიდებული იყო ცის თაღზედ. ამირანმა დააღწა ჯაჭვები, ჩამოაგდო სასახლე მიწაზედ და მოიტაცა მშვენიერი კამარი.

ასეთი მიუწვდომელია ქართველის ოცნება, რომელსაც „მზეთუნახავი“ ცის კიდემდეც მიჰყავს!

დღეს საქართველოს მთიან კუთხეებში კიდევ შეხვდებით ქალთა სახელებს, რომელიც წინად საყოველთაოდ იყო გავრცელებული მთელს საქართველოში და სახალ დროში თანდათან დავიწყებას მიეცა, შეიცვალა - რა უცხო და უმეცერი სახელებით, გადაჩრა მხოლოდ მთაში: თუშ - ფშავ - ხევსურეთისა, მთიულეთ-ხევში და რაჭა - ლეჩხუმში, დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: „მზია“, „მზექალა“, „მხისავარ“, „მზევინარი“, „პირიმზისა“, „მზეცია“, „თვარისა“, „პირთვარისა“ (რაჭა), „ნათელა“, „პირნათელა“ (რაჭა), „შვენიერა“ (რაჭა) *, „პირლამა-

ზა (იქვე), „ვარდო“, „ვარდისა“, „ია“, „გულისვარდი“, „გულია“, „ცილა“, „მაყვალა“, „ნარგიზა“, „ნაზო“, „ნაზიბროლა“.

ქართველი ქალის სილამაზეში თავისებურად იმოქმედს საქართველოს ცხოვრების ბედზედ, რომელთანაც შეკავშირებულია რამოდენიმე ათეული საუკუნის სისხლიანი თავადასავალი.

ჩვენს მრავალ-ტანჯულ ქვეყანას ჰყავდა მოზღვაგებით ზედ მომდგარი ურიცხვი მტერი, საქართველოს გაცოცხებით მეტი განადგურება და გადაქლევა, ნგრევა და წვა ახსოვს, ვიდრე მშვილობა და სიამე, აღშენება და დამკვიდრება! ამ მწარე ისტორიულ ქარცეცხლში ქართველი ქალის სილამაზემაც თავისი ბეგარა წაიღო ჩვენგან. თვით ქართველმა ქალმა კა უმწარესი ბედი იწვნია და განიცადა. უმწარესი, ვიდრე ოდესმე განუცდიდა და ხვედრია სხვა ერთა ქალებს!

ერს თუ სურს გადააჩინოს საკუთარი „მეობა“, დაიცვას მისი სულიერი და ხორციელი არსება წმინდად, მან უპირველეს ყოვლისა მოკრძალებით უნდა დაიცვას თავისივე ქალი. სხვადასხვა ერთა და ხალხთა სისხლის აღრევით იცვლება გარეგნული შეხედულება, სახის მოყვანილობა, ტანადობა და იერი, რაც სხვადასხვა ერებს თავისებური სხვადასხვაობით მოეპოვება. წარმოიქმნება შენარევი ტიპები, განსხვავებული „ნამდვილისაგან“. შენარევი ტიპებს ახასიათებს სულ სხვაგვარი „შენარევი“ სულიერი თვისებები. თუ ქვეყნის თავზედ განუწყვეტილად ხდება თავდასხმები, დაპყრობები და მოძალადობა, შერევისაგან თანდათან გადაირეცხება ამ ქვეყნის ძველი საფუძველი და მის ადგილზედ სულ სხვაგვარი ხალხი ამოჰყოფს თავს. ზევრს დღევანდელ ერს მხოლოდ სახელი შეჩრა ძველი, თორემ რასიულად სრულიად აღარ ჰგავს ძველ-ყოფილს.

ქართველი ერი თავისი გამძლეობით სხვებთანაგან გამოირჩეოდა და მრავალ-საუკუნოვანი ბრძოლებიდან შეღარებით მრთელი და შენახული გამოვიდა.

საქართველოს ისტორიული მტრები ქართველი ერის მოუდრეკელობის და გაუტყულობის მიზეზს ხედავდნენ უმთავრესად ქართველ ქალში. ქალი იყო ოჯახის ბურჯი. სწორედ იგი აყალიბებდა „ქართველთობას“, სძერწავდა უკვდავ სულს, უცნაურის ძალით შთაბერავდა ხო-

*) იოსებ იმედიაშვილს აქვს პოემა „მშვენიერა“, რატული ლეგენდიდან აღებული.

ლმე ამ სულს თავის შობილს, რომლის აღმო-
ფხვრას უკვე აღარავითარ ძალას აღარ შეეძლო.
ასე მიაგრებდა საქართველოს ერთგულ „მეო-
ბის“ ციხე-დარბაზი, რომელსა დედსა-ბოძად
შეყენებული ჰყავდა ქართველი ქალი.

მტერი მოწადინებით უტყევდა ქართულ ოჯ-
ახს და შესაძლებლობის პოვნისას დედა-ბუდ-
ინანდ უწყალოდ ანადგურებდა. ამით მას სურ-
და მოესპო ის კერა, რომლის ირგვლივ ღვიოდა
სწორედ მტრისათვის ყველაზედ საშიში ცეცხ-
ლი ქართული გამძლეობისა.

ქართველი ქალი მამაკაცის გვერდით ბრძო-
ლითვე იცავდა თავს. — იარაღით, ხერხით, ქა-
ლურით დიპლომატიით, მოთმინებით, კბილებით
და ბრჩილებით იცავდა იგი თავის თავსაც, თავ-
ვის ბუდეცაც და თავის სინიდისსაც. ქართველი
ქალის სიმამაცეს, სულიერ გაუტყებლობას და
ერთგულობას უნდა ვეუბნოდეთ თუ დღეს
ჩვენ კიდევ შეგვრჩა ქართული ცხვირები, თვალ
წამწამები, იერი, აცებულება, გამომეტყველება
და, რაც მთავარია, ქართული სულიერი თვისე-
ბები. — დღესაც კი ძლიერ იშვიათი შემთხვე-
ვაა, რომ ქართველი ქალი უცხო ერის მამაკაცს
შეუტელოს. ამ მხრივ ქართველი მამაკაცები
უფრო გადადიან წრეს, მაგრამ ძვირად ქართ-
ველი ქალი!

საქართველოში მონღოლების ბატონობის ხა-
ნა ას წელიწადს გაგრძელდა. მათგან ქართველ
ერზე ძალდატანება დიდი იყო. მონღოლთა ბა-
ტონობამ დასცა საქართველოს ძლიერება და
შეამცირა მოსახლეობის რიცხვი. მომთაბარე და
ველური მონღოლები თავისი წესისაებრ დაუნ-
დობლად ხდიდნენ ნაშუსს მათს მიერ დაპყრობი-
ლი ქვეყნის ქალებს. მონღოლებმა სისხლის შე-
რევით ბევრს ხალხებს და რასებს შეუტყველეს
სახე და სულიერი თვისებები. მაგალითად დღე-
ვანდელი ჩრუხი უკვე აღარ ჰყავს მონღოლების
მოსვლამდე არსებული ძველი რუსს, რომელსაც
მანამდე მწყობრი, სლავური, გერმანულთან
მსგავსი, სახე და აცებულება მოეპოებოდა. —
რუსები ამჟამად შესახედობით და ბევრი სუ-
ლიერი თვისებებით უკვე მონღოლებს წა-
აგავენ. მათში ოცი პროცენტი თუ მოიპოვება
კიდევ წმინდა სლავური ტიპები. ქართული რა-
სასთან მკვეთრად განსაზღვრული მონღოლუ-
რი რასის შერევა, გამოიწვევდა საქართველოს
სრულ გადაგვარებას და წარმოქმნიდა სულ სხვა
სახის ერს, ვიდრე იყო და არის ესლა. ამ საბრ-
თისაგან საშემოლო დაიხსნა ქართველმა ქალ-

მა. — თუ მოძალადე მონღოლის ნაყოფი მუც-
ლად ჰქონდა იგი ან თავს შიიკლავდა, რომ
„თესლი ბოროტი“ არ ეტარებინა ქართული
საშობი; ან დაელოდებოდა მოშობიარებას და
ნაყოფს წამსვე მოაშობდა, რათა იმ გზით აღ-
არ დარჩენილიყო „უცხო თესლი“ ჩვენს მიწა-
ზედ. ძნელი წარმოსადგენი და გასაკვირია ეს
საშუალებანი, მაგრამ ეს ასე ხდებოდა!

მონღოლებზე უარესი დღე გაუთენეს საქარ-
თველოს სპარსელებსა და ოსმალებსა. ამ ორმა
ძლიერმა სახელმწიფომ განიზრახა საქართვე-
ლოს ნაწილ-ნაწილად ჩაყლაპვა და მონელება.
ეს მიზანი შეუტარებულელი დარჩა, მაგრამ მათი
ცდა მათთვის უნაყოფოდ მანაც არ დამთავრე-
ბულა. დღევანდელი საქართველოს ოდენი ტე-
რიტორია მთელი მისი მოსახლეობით მთაინთ-
ქა სპარსეთ-ოსმალეთის ზღვაში. — მთელი ოთ-
ხასი წლის განმავლობაში სპარს-ოსმალნი, და
შემდეგ ლეკები, სწეწავდნენ საქართველოს მი-
წა-წყალს. იტაცებდნენ ქალებს, ბავშვებს, მა-
მაკაცებს ჰყიდდნენ პირუტყვებივით აღმოსავლეთის
ბაზრებზედ. ჩვენი ტურფა ქალებით აივსო
სპარსეთ-ოსმალეთის ჰარამხანები და დაღესტ-
ნის აულები.

ქართველ ქალს გახელებით ეტყებოდნენ ყვე-
ლგან: ფეხზედ, მთაზედ, წყაროზედ, შინ, გა-
რეთ, ყანასა და ბოსტანში, ციხესა და კოშკში,
ტყესა და ველში. ეტყებოდა ყველა: სპარსე-
ლი და ოსმალნი, ლეკი და ხუნძახელი, შერვანე-
ლი და განჯელი, ოვსი და დიდი, ქისტი და ბა-
ლაური!“

თითქოს გადაიარა ჟამმა მირისხანემ საქარ-
თველოს თავზედ. მრავალ განსაცდელს გამოუ-
სხლტით ხელიდან და ჩვენი თავი დღევანდელს-
მდე მოვრტანეთ. მაგრამ ჩვენი ქვეყანა მანაც
დიდი ვასაჭირის და ახალი განსაცდელის ქვეშ
დგას. თითქოს ერთხელ ადევნებული ბედი ქა-
რთლისა, თან გვდევს საკუთარი აჩრდილივით
მარად! არ გვტოვებს განსაცდელი და მოლო-
დინი დიდი აღძვრებისა, რომელსაც შეუძლია
ჩვენს ქვეყანას ყოფნა-არყოფნის საკითხი დაუ-
ყენოს. ჩვენი ვალია ამ ჟამსაც ვიყოთ ისეთი-
ვე მამაცნი, რანიც იყვნენ ჩვენი სახელოვანი წი-
ნაპრები ჟამთა უკუნ!. ესლაც გვყავს პირმშე-
ნიერი ქართველი ქალები, რომელთა ხელშია
დღესაც ჩვენი ქართული სახლობის გადარჩენის
საშუალება საბოლოო განადგურებისაგან, დაცვა
ტრადიციებისა და ჩვეების, ქართული სულიე-
რი თვისებებისა და გარეგნული აღნაგობისა. ქა-

ქართული ხელოვნების ნაშტი ეგვიპტეში

ამ უსურნალის მე-9 ნომერში (გვ. 17), ჩვენ აღვნიშნეთ, ანტიოქიის სასახებში ქართველებს მოენახებოდათ ათი-თორმეტო ეკლესია - მონასტერი. ოღონდ საეკლესიო მივიჩინეთ წმიდა ბარლამის კუთვნილება ქართველებსადმი. ეკვიუსაფუძვლო გამოდგა ჩვენდა სასახარული. ეს სავანეც ქართველთა სამკვიდრო ყოფილა მე-XI - XIII საუკუნეში მაინც, ამის უტყუარ საბუთს ენახულობთ ჩვენ სხვათა შორის, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კატალოგში, ნ. მარის სახელით რომ გამოიცა 1940 წ. პეტერბურგში.

ამ კატალოგის მე-91 გვერდზე ვკითხულობთ წმ. ბარლამის ანუ ბარლამის დღეობაზე: „თვესა იგლისსა ით (19) წმიდისა მამისა ბარლამისა, რომელ არს მთასა კავკასსა (ანტიოქიის ახლოს), დღესასწაული ბარლამ წმიდისა ქართველთა მონასტერსა“. იმსვე კატალოგის 274 გვერდზე მოხსენებულია ერთი ქართული ხელნაწერის გადამწერი ბერი, მოღვაწე (მე-XII-ე საუკუნისა: „ლოცვა ყავთ ცოდვილისა იოანესათვის ბარლამ წმიდელისა, უცბად ჩხრეცისათვის (უფუნურად წერისათვის) შემინდევით“.

ამ რიგად უდავო ხდება, რომ ანტიოქიის მიდამოებში მდებარე ბარლამ წმიდაც ქართველთა სავანე ყოფილა საშუალო საუკუნეში.

ამ უსურნალის იმსვე ნომერში (გვ. 18), აზრი გამოვთქვით: „წმ. თომას ეკლესია პირველი ცნობილი ძეგლია პირდაპირ ქართველი ხელოვან მოძღვრის მიერ აგებული უცხოეთში“. ჩოგორც ჩანს, წმ. თომას ეკლესიას უნდა ჩამოეჭრთვას ეს უპირატესობა და ანტიოქიიდან გადატანილ იქმნას უფრო შორეულს ეგვიპტეში.

1950 წელს ამერიკის ბიზანტიურმა ინსტიტუტმა, რის თავმჯდომარე იყო ცნობილი ქართველოლოგი **რ. პ. ბლეიკი**, გამოსცა არილი პროფესორ კრუმის საპატიოდ: **Coptic Studies in Honor of Walter Ewing Crum, Boston, Mass.** ამ კრებულში დაიბეჭდა (გვ. 495-500) ერთი ნარკვევი შემდეგი სათაურით: **U. Monneret de Villard, Una chiesa di tipo georgiano nella necropoli tebana**. ი. ი. „ერთი ეკლესია ქართული ტიპისა თების ნეკროპოლში“.

თების უდაბნო წარმოადგენს იმ ადგილს, სადაც პირველად აყვავდა და გადღაფურჩქნა ბერმონაზონური ცხოვრება. აქ მოღვაწეობდა მავალითად უდიდესი ასეტიკი მწერალი ბერძნული ენაზე **ევაგრი პონტოელი** ანუ **ქართველი მე-IV საუკუნეში**.

მონაწილე დე ვილარდის მიერ ნაპოვნი ეკლესია მდებარეობს სწორეთა ამ უდაბნოში სოფელ ყურნეთ მთრასის ახლოს. ეს შენობა მთლად დანგრეულია და მხოლოდ გათხრების შემდეგ იქმნა მისი ძირი-კედლები აღმოჩენილი. მისი გეგმის თანახმად, ეს ეკლესია ეკუთვნის იმ შენობათა რიგს, რომელთაც ხელოვნების მკვლევარნი უწოდებენ სამეკლესიან ტაძრებს*). ამ ტიპის ეკლესიის თვით-სახეობა და თავისებურება იმით ცხადდება, რომ სამი ნაგის წილ ჩვენ აქ გვაქვს სამი, ერთი - მეორის გვერდით,

*) ამის შესახებ იხ. **J. Baltrusaitis, L'Eglise cloisonnée en Orient et en Occident, Paris 1941**, სადაც ვრცლად არის საუბარი ამ ტიპის ეკლესიებზე საქართველოში.

რთველი ქალი ზრდის დღეს დაობლებულ ბავშვებს, რომელთა მამები ასიათასობით დაიღუპენ საქართველოსათვის სრულიად უმიზნო და მიუღებელ ომში 1941-1945 წლებში.

ახალი მტერი, რომელიც დღეს საქართველოში ბატონობს ძალით და ტერორით, ლამობს დაარღვიოს სულიერი სტრუქტურა ქართველი ერისა და გადააგვაროს სხელი შერევი, სხვადასხვა ტომთა და ხალხთა ჩასახლებით საქართველოს მიწა - წყალზედ. — ამ დიდ საბედისწერო ჟამსაც იმედით უნდა შევსტყუროდეთ ქართველის დედას, თუ იგი დაეცა, ცელარაფერი

იხსნის საქართველოს! იგია ეხლაც ერთად - ერთი მხსნელი სამშობლოსი. ექთაყვანოთ მას! კვლავ მამა - პაპურად დავიფაროთ იგი, რადგან ქართველი ქალის დაცვა ნიშნავს სამშობლოს დაცვას! ნუ შეგვაკრთობს ჩვენი ბედი, რადგან იგი არის ჩვენი ბედი! ბედი: მშვენიერი ქართველი ქალისა და ბედი ქართლისა!

ექ. გ. კობახიძე

ივლისი, 1951 წ.
ნიუ - იორკი.



სიგრძეზე დალაგებული ეკლესია, რომელიც აღმომავალ მზისკენ არის მიმართული. მაშ, ამ ტაძარში შუა-ნაეი გარე-ნაგებისაგან სვეტუბით-კი არ არის დაშორებული ვინა გამოყოფილი, როგორც მაგალითად მცხეთის სვეტი-ცხოველში, არამედ სრული ბრმა კედლებით. ამის გამო, გარედან ანუ ერთი ნაგიდან მეორეში გადასასვლელიად კედლებში დატანებულია საკმაოდ ფართო და მაღალი კარის - ბჭენი. აი ასეთია ეგვიპტის ქვიშნარზე წამოყენებული ეკლესია.

მისი შენებულობის მონაზულობა და გეგმა საოცრად უხასლოდდება საქართველოს ძველისძველი ეკლესიების სახეს, როგორც არის მგალითად ბოლნის - კაპანახისა, საგურამოსი ჭვრამისა, ზეგანისა, ხოლო უფრო მეტ მსგავსებას და ნათესაობას ამჟღავნებს თეზაიდის ბაზილიკა ქართლში მდებარე უფლისციხის ეკლესიასთან, ამბობს მონწერეთი. უფლისციხის ეკლესია ხომ ერთ - ერთი უუძველესი ძეგლია ქართული ხუროთმოძღვრებისა!

ვინაიდან ასეთი ეკლესიის აჩსებობას ეგვიპტეში ვერა ხნის და ვერ ამართლებს ვერც კოპტური არქეოლოგია და ვერც იქაური ლიტურგიის მოთხოვნა, ამიტომ ფიქრობს მონწერეთ დე ვილარდი, ამ ეკლესიის გეგმა გარედან, ე. ი. საქართველოდან უნდა იყოს ქართველი ბერების მიერ ეგვიპტეში გადასწავლილი. ამ არქეოლოგის მოსაზრებით, ეს ეკლესია ქართველებს აუშენებიათ არა უგვიანეს მე-IX - X საუკუნისა. მართალია, ამ დროს ქართველები არ სჩანან ეგვიპტეში, მაგრამ სამაგიეროთი იქ ვნახულობთ სომხების ძლიერი ახალმენს, რომელთაც ალბად ქართველი ბერები გაიყოლიეს ნილოსის ხეობისკენა.

თეზაიდის ეკლესია რომ ქართული სამეკლესიანი ტაძრის ანარეკლი არის, შესაწყნარებელია. სადაო ხდება მარტო ამ ეკლესიის დათარიღება მე-IX - X საუკუნით და სრულიად არა ისტორიული წამოყენება: ეგვიპტეში ჩასვლისას სომხებმა ქართველებიც ჩაიყოლიესო. ქართველები სომეხ ბერებს არაადა ასდევნიან და რაღა ეგვიპტეში წაეტანენ, და ისიც მე-IX - X საუკუნეში; როცა ერთნი, კოპტების მსგავსად, მონოფიზიტები იყვნენ და მეორენი კათოლიკე მართლმადიდებელნი.

*) რასაკვირველია, პეტრეს შექმლო სკიტიდან თეზაიდშიც (ზემო ეგვიპ.) გადასულიყო.

თეზაიდის ეკლესია თუ ქართველების ნაშენია, ის არ შეიძლება აგებული იყოს მე-IX - X საუკუნეში. ამ დროს ადარც საქართველოში აშენებდენ ამ სახის ეკლესიებს და ვიღა იფიქრებდა მის გაცოცხლებას უცხო ქვეყანაში. ამიტომ თების გარეშოში აგებული ტაძარი უნდა მიეჩვენოს იმ ეპოქას, რა ეპოქაშიც ამ ჯგუფის ეკლესიები შენდებოდა თვითონ ქართველთა მიწა წყალზე: მე-V საუკუნიდან მე-VIII საუკუნემდის.

მაშ, ვინ იქნება ქართული ეკლესიის ამგები ეგვიპტეში? ეს ეკლესია შეიძლება აგებული იყოს თავად პეტრე ქართველის მიერ მე-V საუკუნეში (გადაიცვალა 488 წ.). ცნობილია, რომ ეს ეპისკოპოზი ეგვიპტეში იყო და დიდ ხანს მოუხდა მას იქ შეჩერება. მართალია, მისი სიჩიული ბიოგრაფია არაფერს გვეუბნება პეტრეს სააღმშენებლო მოღვაწეობაზე ეგვიპტეში, მაგრამ ასეთ ცნობას ჩვენ ვკითხულობთ პეტრეს სხვა ბიოგრაფიის ქართულ ნუსხაში, სადაც პეტრეზე შემდეგია ნათქვამი: „წმიდაა და სანატრელი პეტრე და მოწაფენი მისნი წარვიდეს ეგვიპტედ, სანახებთა სკიტისათა *), მოვიდეს და მოილოცვიდეს წმიდათა მამათა უდაბნოთა, და გამოირჩეს ადგილი და აღაშენეს ეკლესია და გარემოს მონასტერი“ (ცხოვრება პეტრე ქართველისა, თავი 27, გვ. 20, გამოც. ნ. მარისა).

რა საკვირველია, დანამდვილებით არ ვიცით, ძელი წყაროებიდან ამოდის ეს ცნობა თუ ქართველი მთარგმნელის მიერ არის ის თვითნებურად შემატებული ხორცმეტად? პეტრეს გარდა სხვებ ქართველებიც მოსჩანან ეგვიპტის მიწაზე; „ბედი ქ.“ № 6, გვ. 27, იანა არ ვაცნობეთ მკითხველს, რომ სინას მთაზე ქართველობა წარმოადგენილი იყო უკვე მე-VII საუკუნეში, ამაზე აღრე თუ არა. ეჭვი არ უნდა, სინას მთაზე ასვლამდე ქართველი ბერები გზას ვერ აუხვედენ თების სანახებში მდებარე ბერ - მონაზურ ცხოვრებას. ეს მიდამო თავიდანვე სვეტე იყო საქრისტიანო ყველა კუთხიდან მოქცენილი ხალხით და ყოვლად დაუღვერებელია, რომ მათ შორის არ რეულიყვნენ ქართველებიც; მით უფრო, რომ ბიზანტიის იმპერიაში თითქმის არ იყო მხარე, სადაც არ დამკვიდრებულიყვენ ქართველები. ამის გამო საფიქრებელი ხდება და ჭკუასთანაც ანლოა, რომ თეზაიდის ქართული ეკლესია აგებულ იქნა მე-IX საუკუნემდის ეგვიპტის უდაბნოში დაზინავებულ ქართველ ბერების მიერ. სამ-ეკლესიანი შენობის მსგავსი ნაგებობა

ქართული „დიდახი“ და „ჰალხმოთა და ჰასროთფერათათვის ჰიბართა ჰენისათა“

„ყურნალი „ბედი ქართლისა“-ის მე-9 ნომერში, 29 გვერდის პირველი დამყოლზე, ვამოთქმულ იქმნა ბ. მ. თარხნიშვილის მიერ ჟურნალის აზრი ე. წ. მოძღვრებად ათორმეტთა“-ის შესახებ, რომელზედაც 1932-ის მოღმა ასე ზერე-ლიედ ლაპარაკობენ. ასეთს ლაპარაკს, როგორც სჩანს საქართველოშიც კი ჩაუღწევია; (პროფ. კეკელიძე მას იხსენიებს „ძველი ქართული ლიტერატურის“ ისტორიაში), მიუხედავად იმისა, რომ 25 წელიწადია მე ვარ ხსენებული ტექსტის მქონე - მატარებელი და ამასვე მე არავითარ პრესაში ხმა არ გამომიღია, — არც კი მიჩვენებია ვინმე ქართველისათვის ხსენებული ტექსტი, — გარდა მისგან ამოღებული რამდენიმე ფრაზისა და ზმნური ფორმებისა. ამ ძეგლის ქართულ ენაზე არსებობა სანამდვილეც და ჩემთვის ყოველივე ეჭვს ჭარბზე მისი შინაარსი და ფინაობა.

მე ეს ტექსტი — „იბ - თა მოძღვრება“ — და, მასთან ერთად, კიდევ ერთი სხვა — (იგი კი ლექსად თხზული) — მოულოდნელად და უძებნელად შემხვდა 1927 წ., სტამბოლში ყოფნისას, ერთ ძველ ხელთაწერი წიგნში და იქიდან გადმოვიწერე. ეს გადმოწერა მე შევასწორე სრულიად პირადი ცნობის-მოყვარეობით, როგორც ქართული მწერლობის ერთი ნიმუშის, თვინიერ ყოველივე კვლევამებისა, რისთვისაც (სხვათა წორის) არაფერი მიწყობდა ხელსა. მეცნიერება არ მოეკითხება უმწარეს პირობებში მოქცეულ ახალგაზრდას: მე ვიშრომე მარტივად და მხოლოდ მშობლიური ენის სიყვარულით.

აზიური წარმოშობისაა. მას ვხედებით ჩვენ სორია - მადილონიისა, მერე მედია - სპარსეთში. ამ რიგის უძველესი ეკლესია გაჩნდა მესაპოტამიაში და საქართველოში. სწორედ აქ, ჩვენში, იხარა მან ყველაზე ძლიერ და ქართლიდანვე მოედინა, ხელოვნების კრიტიკოსთა აზრით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს, ბალკანეთს და მთელს დასავლეთს. ასე მძლე ყოფილა ოდესღაც ქართული ხელოვნების ცხოველი წნევა საქრისტიანო აღმოსავლეთში.

მ. თარხნიშვილი

რომი.

ბ. მ. თარხნიშვილის აზრი ზემო აღნიშნულ ყურნალში — თითქოს ეს ტექსტი მე შეთარგმნოს ბერძნულითგან, მართალი არ არის, რასაც აქვე ადასტურებს მ. მ. თარხნიშვილის განცხადება*).

ხსენებული ქართული „დიდახი“ = „იბ - თა მოძღვრება“-ის გამოქვეყნება — (ახლანდელ ვითარებაში კაცთა და საგანთა) — შეუძლებელია. სამაგიეროდ მასთან მყოფი ლექსად თხზულო ნაწილის გამოცემა კი შესაძლებელია და სასურველიც. სულ არის 102 მუხლი და აქვს რამოდენიმე მოკლე მინაწერი. როგორც გარესახეობით ისევე, შინაარსითაც ეს ლექსად მოცემული ნაწილი ბევრით უფრო საინტერესოა ჩვენი კულტურისათვის; ამიტომ მე ამ ნაწილის შესწავლას მოვანბარე მთელი ჩემი შემძლეობათვით ყოვლად უბედური წუთებშიც კი. ამ 25 წლის განმავლობაში წარმოებულმა შესწავლამ შესაძლებელი გამიხდა მე ეს გალექსალი ნაწილი — (რომლის სათაური არის: „ჰალხმოთა და ჰასროთფერათათვის ჰიბართა ჰენისათა“) — გადამეთარგმნა ლათინურ ენაზე. ეს ნათარგმნიცა და თვით ქართული დედანიც რედაქტორმა „ბ. ქ.“-ისა კ. სალიამ და კიდევ სხვა ორი ოდეს ქართველმა პირმა ჰნახეს. რედაქტორი „ბ. ქ.“-ისა დაინტერესდა ამ ძეგლზე და მთხოვა, პატარა საუბარი უძღვნა „ჰალხმოთა“-ის ტექსტის გამოქვეყნებას**).

*) !ბ. ქ.6-ს №“, გვ. 29, მოცემულია ტექსტი „დიდახეს“ შესახებ სულაც არ ამართლებს მათ აზრს, რომელნიც ფიქრობენ თითქოს ერთი და იგივე პირი იყოს იქ დასახელებული ფიქრიშვილი და „დიდაქს“ ქართული თარგმნის ავტორი.

მ. თარხნიშვილი

***) ბ. ფეიქრიშვილი-მსხეთელი დასთანხმდა მშობლიური ენის სიყვარულისათვის ამ ძეგლის გამოქვეყნებას, რასაც „ბ. ქ.“-ისა მიუდგება შეძლებისდაგვარად შემდეგი ნომრიდან, ხოლო ფეიქრიშვილი - მსხეთელი იტყობს ყოველგვარ უფლებას ამ ძეგლის თარგმნისა და ფილანტროპიისა.

რედაქცია

ბაც კი ალბათ სრულიად უცნობნი არიან სა-
ქართველოში.

„ჰალხმოთა“—ის უმეტესი ნაწილი განეკუთვნება
ქართული ანბანის წარმოშობისა და დადგენის
საკითხს. ერთი ბოლო მინაწერი თხზულებას
უწოდებს „წერილი ასოთა ჩვენთა აღსწავლისა-
თვის ყოფილა“. კიდევ ერთი სულ საბოლოო,
მას თითქოს სახელად სდებს „წიგნი წერილთა
სასწავლითა“—სა. როგორც სჩანს, იგი ერთგვარი
სახელმძღვანელო ყოფილა, ვალეჟსულად მო-
წყობილი. ამას თითქოს ასიც ამტკიცებს, რომ
41 და 42 მუხლის გასწვრივ არშინაზე მინაწერი
შენიშვნასავით იძლევა ამას: „ხ სხვათა მოძი-
ვართა სხვითა ჩრციითა გაჰქმართათ“—ო. და იქვე
მოჰყვება შემდეგი რიგი ქართული ასოებისა, 36
ასო. „ა ბ გ დ ე ვ ზ ლ თ ი კ ლ მ ნ უ ო პ ჟ
ყ რ ს ტ უ ფ ქ ჩ ც ძ წ ჯ ხ ჰ ჳ“.

ამ მოცემულობაში შესანიშნავია შემდეგი:

1. უპირველეს ყოვლისა აქ არ არსებობს ორი
ასო „ა“ და „ჰ“. მათ ყოფილა დრო, თუ მხარე,
სადაც ქართულ ანბანს ეს ორი ასო არ გააჩნდა.

2. ასოთა მომდევრობაში საყურადღებოა: ასო
3 (ვიე) მომდევარია ასო ვ-ინისა; რაც უცნობი
იყო აქამდე.

3. ასო ლ-ანი მოცემულია ასო ზ-ანისა თ-ანის
შუა.

4. ასო შ-ინი მოდის ასო ნ-არის შემდეგ და
ასო ო-ნის წინ, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი
გადმოცემა ამ ადგილზე ჩვენ „ა“-იეს გვიყენებს.

5. ასო ყ-არი ჩვეულებრივი წესრიგით უნდა
ყოფილიყო ასო ლ-ანისა და ასო შ-ინის შუა; და
არა, როგორც აქ, ასო რ-აეს წინ და ასო უ-ანის
შემდეგ. თვით ასოები ლ-ანი და შ-ინი კი სულ
სხვაგან არიან დასმულნი.

6. ასო ჰ—(ჰე), ახლა უკვე აღარ ხმარებული,
მოქცევიდა უნდა ყოფილიყო ასო ზ-ანის და
თ-ანისა; აქ კი ჰ-ე გვევლინება მთელი ანბანის
უკანასკნელი ასოს ჰ-აეს წინ მჯდომად.

1. თუ შევადარებთ ზემოთ მოცემულ ასოთ-
წყობას ჩვენს საზოგადოდ ცნობილ ანბანის წეს-
რიგს, ყურადღებას ის სინამდვილე იპყრობს
რომ: ვინე და ჯიე ერთად არიან; აგრეთვე ასო-
ები ბ-აე და ხ-არ, და ასევე კიდევ ასოები: ჰ-ე
და ჰ-აე. ყველა ამაში — ფიქრობ მე — ჩაქო-
ვილია ჩვენი ენისა და ანბანის ისტორიის მრავ-
ვალი სინამდვილე. აქედან სჩანს ცხადად, რომ

ქართული ანბანი არ არის შედგენილი ერთსა და
იმავე დროს, არც ერთისა და იმავე პირისაგან.
ერთმანეთს დღეს, და სომეხთა ისტორიკოსთა
ცნობა ქართული ანბანის შესახებ ყოველი-
სვე სინამდვილეს მოკლებულია: იგი არის შო-
ვინისტ ბერთაგან მქმნილი ზღაპარი, იქნება
სულ წინააღმდეგის დასაფარავლად, როგორც
ამას სომეური ანბანის ისტორია გვაგონებს და
გვაფიქრებინებს (Cf. P. Peeters. Pour l'Histoire
des Origines de l'Alphabet armén.*).

მთელი ძველი „ჰალხმოთა“—სი აღიარებს,
რომ ჩვენი ანბანი დიდი ხნითგან არსე-
ბული სინამდვილე ყოფილა და შემდეგში
დაულაგებიან — შეგნებულად — ბერძნულს-
და მიხედვით, ხოლო ძველ საფუძვლად უკვე
ფინიკური ანბანი ჰქონია მას. ეს დალაგება მო-
მხდარა მაშინ, როდესაც „მარჯვნივთგან მარცხ-
ნად“ მიმართვით სწერდნენ. ამით აიხსნება, თუ
რატომ ქართული ასომთავრული ასოები და
თვით მხატრული ასოებიც კი, ხშირად მიიმზი-
რებიან მარჯვნივთგან მარცხენა მხარისაკენ. ეს
იმას ამტკიცებს, რომ არავითარს ვარაუდსა-
გარდაქმნას არ შესძლებია ქართული ანბანის
და ასოების აღნაგობის შერყენა.

ძველის მე-54-ე მუხლი უფრო საოცარ ცნო-
ბას იძლევა ივერთა ანბანზე:

„ჰიხართ ასოთ ზედ ფინიკურთ სახელთ და-
რქმა ჰე ყულა არლა ჰვიხმით რომელნი
ჰიგინი ჩვეენს ჰუწინარეს მათ ზედ ჰრქვიოდეს
ჰისინი ჰვიკმით“—ო.

აქედან სჩანს, რომ სანამ ბერძნულ ანბანს
შეუგუებდნენ ჩვენი ენის ანბანს, ფინიკური ას-
ოები უკვე ხმარებულნი ყოფილან ჩვენ წინა-
პართა მიერ, ალბათ აქა - იქ, და თვით ამ ფინი-
კურ ასოებსაც კი იბერული, — საკუთარი სახე-
ლები ჰქონიან, რასაც დღემდის ჰმოწმობს ქა-
რთული ანბანი, რომელსაც, მიუხედავად თავი-
სი ბერძნულ - ფინიკური დაწყობილობა, მაინც
საკუთარი, — ივერული სახელწოდება აქვს ყვე-
ლა ასოთათვის, და არც ერთია მათგანი, არც
ბერძნულითგან, არც ფინიკურითგან, ან სიღანმე
აღებულნი. ამის ნათელსაყოფად კიდევ ბევრი
რამის ამოღება შეიძლება „ჰალხმოთა“—გან და
ყველა აქედან უდიდესი სინათლე ეს არის ჩემ-
თვის: ქრისტეს წინანდელ საუკუნეებში ივერ-
თა ტომებს, — „მოსხთა და ჰიხართა“ ენისა —
მწერლობა ჰქონია, ეს ეჭვს ვარუშეა. ამას უკა-

† ს. ჯარეთლის გარდაცვალების გამო

† მ ო ს ე შ ა ნ ი ძ ე

მადლობის გამოცხადება

ძვირფასო კალე, ნება მომეცი შენი უჭრნას-
ლის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოთქუ-
ხადო ქართული საზოგადოების წევრებს, მათ
ვინც რაიმე ღვაწლი გაიღეს ბიძაჩემი სვიმონ
წერეთლისათვის, ამ 26 წლის უცხოეთში ყო-
ფნის დროს. გაუწიეს ნივთიერი დახმარება ან
ნუგეში მისცეს. მიუხედავად ამ გრძელი მანძი-
ლისა, ადამიანური სითბო არ მოაკლევს და გა-
უადვილეს მძიმე ცხოვრება გადმოსვეწილისა.
შეაძლებინეს მრავალი ჭრილობების მქონეს,
ხშირად ავადმყოფსა და ამასთანავე მძიმე სუ-
ლიერ წამება გამოვლილს, ღრმა მონაცუბულო-
ბამდე მიეღწია.

განსაკუთრებით მადლობას უცხადებ ლევი-
ლის ქართველობას; ქალბატონ ნამეტია გოგვა-
ძისა და ყველა მათ, ვინც მძიმე ავადყოფობის
წინააღმდეგ უკანასკნელი საბედისწერო ზრდი-
ლის დროს, მოუარს, უშველსა და ტკივილები
შეუწუნლა.

ჩემ ძვირფას ისიდორე ქარხელაძეს მადლობა-
საც ვეღარ ვეტყვი; როგორც ბიძაჩემის შვილო-
ბილი და ანდერძის შემსრულებელი, არა ნაკ-
ლებ ახლო იდგა მასთან, ვინემ ჩვენ, მისი სისხ-
ლით ნათესავები.

და ბოლოს ყველა მათ, ვინც პატივი სცა და-
საფლავებინა დროს, გრძობა და ცრემლი არ
დაიშურა, — მისთვის როგორც საქართველოს
ჯარისკაცისათვის, რომლის მხნე გული მუდამ
სამშობლოსათვის სცემდა.

პატივისცემით: ირ. ოთხმეზური

მათივე უნდა ადასტურებდეს ის, რომ ქრისტიან-
ობაზე ადრე, ბევრად უფრო ადრე, ეს ენა
იგუროს იმდენად განვითარებული ყოფილა, იმ
დონემდე, რომ ქრისტიანობას უკვე სულ ადვი-
ლად შეეძლო მისი გამოყენება სამწერლობო
ენად პირველი საჯგუნივანვე. ეს რომ ასე არ
ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა — თუგინდ
მეთთზე - მენხუთე საუკუნეშიც — წერა და აზ-
როვნება ქართული ენით, მეტადრე როდესაც
ვიკითხ, თუ რა პირობებში ცხოვრობდა იგუროს
ტომი ხნითგან მისი კავკასიის კალთების ქვეშ
შემოხიზვნისა.

ე. - ს. ფეიქრიშვილი-მსხეთელი

25 ოქტომბერს, 1951 წელს, ნიუ - იორკის
ერთერთსა საავადმყოფოში გარდაიცვალა ჩინე-
ბული ადამიანი და საუკეთესო ქართველი მოსე
გაბრიელისძე, მანიძე! იგი იყო მკვიდრი ძმა
ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის აკადემი-
კოს აკაკი მანიძისა. განსვენებული დაავადებუ-
ლი იყო გულის ასთმით და უკანასკნელ ხანებ-
ში ძლიერ იტანჯებოდა. დავკრძალეთ 29 ოქ-
ტომბერს „მაუნტ ოლივერ“-ის სასაფლაოზე.
ამერიკაში გარდაცვალებულ ქართველთა 43 სა-
მარეს კიდევ ერთი ახალი მიემატა...

განსვენებულის მეთელემ, ქ-ნ ოლღა ევგენის
ასულმა მანიძემ, გადმოგვცა ზოგიერთი დოკუ-
მენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განსვე-
ნებულის ცხოვრებას თვალი გადავავლოთ:

მოსე დაიბადა 1887 წ. 18 სექტემბერს, ქუ-
თაისში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის
სასულიერო სემინარიაში; უმაღლესი — ყაზანის
უნივერსიტეტში, იუჯრდიულ ფაკულტეტზე,
რომელიც 1910 წელს ოქროს მედალზე დაამ-
თავრა.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემ-
დეგ დანიშნული იყო ტფილისის სასამართლოს
პალატის მდივად. ამავე დროს იგი ასრულებ-
და საქართველოს რესპუბლიკის სენატის მთავა-
რი მდივნის მოვალეობას. 1920 წელს ივ. ჯავა-
ხიშვილის პირადი თაოსნობით და სურვილით
თბილისის უნივერსიტეტში იგი გაგზავნა გერმა-
ნიამრ ცოდნის გასაღრმავებლად იმ მიზნით,
რომ შემდეგ უნივერსიტეტში მიეღო სამოქალა-
ქო სამართლის კათედრა. — ბერლინში იგი
უნივერსიტეტში სწავლობდა იუჯრდიულ და
სამედიცინო ფაკულტეტებზე (სასამართლო მე-
დიცინის განხრით). გარდა ამისა დაამთავრა სპე-
ციალური ქიმიის ინსტიტუტი ფრაიბურგში (სა-
ქსონია).

1930 წელს მეთელით გადმოსახლდა ამერი-
კაში. 1946 წლიდან ბოლო დრომდე მუშაობდა
შევრთებული ერების ორგანიზაციის სამდივნო-
ში, როგორც მთავარი მრჩეველი და თარჯი-
მანი რუსული ენისათვის. უცხო ენებიდან კარ-
გად იცოდა ინგლისური, გერმანული, ფრანგუ-
ლი და რუსული.

მოსე მეთად კეთილი, სათნო და მიმზიდვე-
ლი ადამიანი იყო. ამავე დროს გონება-მანვილი,
ენამოსწრებული, მუდამ მხიარული და გულ-
ნათელი. იყო შესანიშნავი სამეგობრო ადამია-

ნი, გაჭირვებაში დამხმარე და გულწრფელი მრჩეველი. ამის შემდეგ იგი ბევრი ქართველს და უცხოს ეხმარებოდა ევროპაში. მას მრავალი მიგობარი და პატივისმცემელი მოეპოვებოდა არა მარტო ქართველთა, არამედ ამერიკელთა, გერმანელთა, ფრანგთა და სხვ. შორის.

იანისენე, ძვირფასო მოსე აქ უცხოეთში სხვა ქართველებთან ერთად. შენი ზსოვნა უკვდავი იქნება შენს მიგობართა გულში და არც საქართველო დაივიწყებს შენს სახარეს...

მეგობარი.

ნიუ - იორკი.

ბიბლიოგრაფია

ბ-მა ნ. ალექსანდერმა გამოსცა წარსულ წელს უაღრესად მნიშვნელოვანი წიგნი*) ჩვენი დროისათვის, გერმანულ ენაზე: „**ოცნებითან ვიდრე საქმედე**“. წიგნი მიცირება ფურცელთა რაოდენობით, მაგრამ დიდი და მდიდარი იდეებით, ნააზრით. იგი შეიცავს მოკლე, მაგრამ ნათელ დებულებათ „ევროპის იდეისათვის“.

ავტორის აზრით კულტურული კაცობრიობის ისტორია სამ დიდ პერიოდად განიყოფება: კონტინენტალური, ოკეანური და ატმოსფერული. ჩვენ დღეს ვიმყოფებით ამ ორი უკანასკნელის შუა. ეს ნათლად უნდა დაინახოთ, შევივნოთ და ვიგონოთ, და მაშინ იქნება შესაძლებელი ჩვენი მოქმედებაც, დროის შესაფერისი.

გრძობა სამშობლოსი უნდა გაძლიერდეს ევროპისათვის გრძობით, რომელიც დღეს დიდ განსაცდელშია, და ამით არის შესაძლებელი ევროპიელის ნაყოფიერი მოქმედება ევროპის დაცვისათვის და გადარჩენისათვის.

დღევანდელი მსოფლიო განუყოფელია. მისი ნაწილები ისეა დამოკიდებული ერთი-ერთისაგან კულტურულად და ეკონომიურად, ყოველი მხრით, — რომ მისი გაყოფა შეუძლებელია. ამერიკის მკერთებული შტატები და ევროპა ერთი-ერთის წინააღმდეგობას კი არ წარმოადგენენ, არამედ განუყოფელი მსოფლიოს ნაწილებს, ორს პოლუსს, რომელთაგან ერთის არსებობა მიუორეს პირობაა. — ევროპის იდეა არის იდეა ახალი ცხოვრების წესისა, სახელმწიფოებრივისა და ეროვნულისა, ეკონომიურისა და

სოციალურისა, კულტურულისა და პოლიტიკურისა. — ევროპა მრავალ-ფეროვანი ერთია. ამ მრავალფეროვნებაში ინახება ინდივიდუალობა მის ერთა, ხოლო გარანტია ამ უკანასკნელთა არსებობისა, უანვითარებისა და დაცვისა დამოკიდებულია ყოველი ევროპიელისა და ევროპის ყოველი ერის „შინაგან შეკრებისაგან“.

აზრთა დიდი სინათლით აქვს ჩვენ თანამემამულეს განვითარებული ეს დებულებანი.

ყოველი ქართველისათვის, ვინც თავს ევროპიულად გრძობს, ფრიალ საჭიროა ამ წიგნის წაკითხვა და გაცნობა ავტორის იდეათა, ხოლო აგრეთვე მისხვედრად იმისა, თუ რა მოხდა უკანასკნელი ომის შემდეგ, რა ხდება დღეს და რა უშველის კულტურული კაცობრიობას და კენიძოდ საქართველოს.

ინგლისურ პერიოდულ პრესაში საქართველოზე მოთავსებულია გასულ შემოდგომის განმავლობაში შემდეგი წერილები:

1. Dr. D. M. Lang: Peter the Iberian and his Biographers, (The Journal of Ecclesiastical History, Vol. II, № 2, Oct. 1951).

2. მისივე: Count Todtleben's Expedition to Georgia, 1769-1791, გრაფ ტოტლენის ექსპედიცია საქართველოში მოთავსებული The Bulletin of the School of Oriental and African Studies, 1951, XIII. 4.

ეს წერილები ბ. ლანგისა დამყარებულია ხსენებულ ექსპედიციაში უმუშალო მონაწილე Le Sieur de Grailly de Foix - ს მოხსენებაზე. დე გრაილი წარმოშობით ფრანგი, რუსეთის ჯარის კაპიტანი, ყოფილა აღწერილი ამბის დროს ტოტლენის აღიუტანტი (A. B. C.)

ეს მოხსენება, რომელიც აღმოუჩენია ბ-ნ დ. ლანგს და იბეჭდება პირველად, ინახება საფრანგეთის საგარეო სამინისტროს არქივებში პარიზში, სადაც იგი მოთავსებულია ოცდამეთერთმეტე ტომში; გვ. 56 - 68, სერია «Mémoires et Documents, Russie 1760-1799».

ეს შრომა შეიცავს ბევრ ახალ საინტერესო ცნობას, რომელიც გამოქვეყნებული იქნება „ბ. ქართლისა“-ს შემდეგ ნომერში.

3. ან. გუგუშვილი: The Struggle of the Caucasian Peoples for Independance (კავ. ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის), მოთავსებული: The Eastern Quarterly. Vol. IV, № 4, Oct. 1951.

*) Dieterish'sche Verlagsbuchhandlung, Wiesbaden, Vom Traum zur Tat.

4. კ. იმნაძე — The Struggle against Bolshevism in Georgia (ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ საქართველოში) მითავსებელი: The Asiatic Reviews, Oct. 1951).

5. „საღმოსავლეთისა და აფრიკის შესწავლის სკოლის“ თებერვლის ბიულეტენში დაიბეჭდება ბ. R. H. Robins და Nathalie Waterson - ის ქართული სიტყვის ფონეტიკის გამოკვლევა, სათაურით: «The Phonetics of the Georgian Word».

ბ.დ. ლანგისა და ბ. ა. გუგუშვილის წერილები გამოცემულია აგრეთვე ბროშურის სახითაც. ბროშურის სახით იქნება გამოცემული აგრეთვე ქართული სიტყვის ფონეტიკის გამოკვლევა.

მიუნხენის ქართული კომიტეტის მიერ გაფრცელებულ დეკლარაციაზე ბ. მიხ. წერეთლის ხელის მოწერით ზოგიერთ წრეებში გამოწვეულ გაუგებრობის გასაფანტავად ვათავსებთ შემდეგ განმარტებას:

მიუნხენი, 28 - 1 - 1952.

ბუნ კალე სალიას

პარიზში

თქვენს შეკითხვაზედ მიუნხენის კომიტეტის განცხადებაზედ ჩემი ხელის მოწერის შესახებ ამით ფაქტობრივად, რომ მე არავითარ დეზავუაციას თქვენი პარიზის „საღმ. კომიტეტში“ მონაწილეობისა არ გამოიკეთებია და ფაქტადაც არ მომსგლია, რათგანაც ის ხაზი, რომელსაც თქვენ ჩემი თანხმობით თავთვანვე იცავდით თქვენს კომიტეტში და იცავთ უცვლელად დღემდე, ჩემი ხაზიც არის.

აგრეთვე ჩემი ხელის მოწერა ზემოხსენებულ განცხადებაზედ არ ნიშნავს ჩემ მიერ არცნობას „ქართული ეროვნ. საბჭოსი“, რომელიც არსებობს, არამედ ჩემ მიერ ცნობას მისი უსრულეობისა, როგორც ეს იმავე საბჭოს დამფ. კრების დადგენილებაშია აღნიშნული.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა აიღოთ თქვენ და თქვენმა თანამოაზრეებმა ინიციატივა, რომ სრულყოფილი იქმნას რაც შეიძლება მალე „დროებითი აღმ. კომიტეტის“ დადგენილება მეორე ყრილობის მოწვევისა, რომელზედაც იქმნება შეესებელი საბჭო მისი კომიტეტით.

თ. გული სალამით

მიხეილ წერეთელი

(. გ-ის ხელმძღვანელი).

პარიზის ქართულ სათვისტომოში

მალე სრულდება ერთი წელიწადი, რაც არჩეულ იქმნა სათვისტომოს ახალი თავმჯდომარე და გამგეობა. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, გამგეობამ ბევრი რამი გააკეთა.

არა ჩვეულებრივი ელფერით ჩაატარა მან ზოგიერთი ისტორიული დატების აღსანიშნავად მოწყობილი საღამოები, მათ შორის: 26 მაისის ეროვნული დღესასწაული, 150 და 30 წლის თავი იუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა, 100 წლის თავი ქართული თეატრისა და ტრადიციული შობის ხის დღე. დაარსა ქართველ მომღერალთა გუნდი და ამ ჟამად გამგეობის უშუალო ხელმძღვანელობით არსდება ქართველ მოსწავლეთა კავშირი. აგრეთვე გამგეობა ყოველ გვარ დახმარებას უწევდა — ექიმთა ინიციატივით მოწყობილ კულტურულ მუშაობას.

სოციალურ სფეროში მან დახმარება გაუწია ბევრ ავადმყოფ და უმწეო ქართველთ. საბოლოოდ დააფუძნა ქართველ მოხუცთა თავშესაფარი სახლი, სადაც რამოდენიმე თვეში ჩვენს მოხუცებულთა შესაძლებლობა ექნებათ მითავსებლობა.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ აგრეთვე ქართველ ქალთა და ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტების უანგაროდ დახმარება, რომელსაც ისინი უწევდენ გამგეობას მთელი წლის განმავლობაში.

დასასრულ, ხაზი უნდა გაესვას გამგეობის ერთსულოვან მუშაობას, რაც აუცილებლად შედეგია მისი თავმჯდომარის ბ. შ. აბულშელის მოქნილი და ლოიალური განწყობილებისა თავის კოლეგებისადმი.

კ. გ.

თეთრი გიორგის ხელმძღვანელობა გვთხოვს გამოეცხადოთ, რომ 1952 წლის 30 იანვრითგან არსდება თეთრი გიორგის მოძრაობის უმაღლესი საბჭო პროფ. მიხეილ წერეთლის თავმჯდომარეობით.

- საბჭოს წევრები არიან: 1. ა. გამახაშრდია, 2. შ. გიორგაძე, 3. ა. გამართელი, 4. ლ. კერესელიძე, 5. მ. კვიციანი, 6. დ. კლდიაშვილი, 7. გ. კობახიძე, 8. ი. ოთხმეზური, 9. კ. სალია, 10. შ. ჩუბინიძე და 11. ვ. ცხომელიძე. . . .

თავმჯდომარის მოადგილენი არიან: კ. სალია და დ. კლდიაშვილი; მდივანი ა. გამახაშრდია.

ქ რ ო ნ ი კ ა

ნოე უორდანიას იუბილე

ამა წლის 15 იანვარს, ბ-ნ **ნოე უორდანიას** შეუსრულოდა 84 წელი. „ბედი ქართლისა“ უსურვებს საქართველოს პრეზიდენტს კიდევ დღეგრძელობას, რომ ატაროს ის დროსა დასოფელი-დებლობისა, რომელიც მას ქართველმა ერმა ჩააბარა და დღემდე ღირსეულად უტარებია.

ქართული დრამატული დასი

ქართულმა დრამატულმა დასმა ქ-ნ: ვალ. კელიასი, მ. მერიკო - ამიხანაშვილისა და ბ. ვ. ველიძის ხელმძღვანელობით დადგა პარიზში რამოდენიმე ქართული წარმოდგენა. მონაწილეობდენ უმთავრესად საფრანგეთში დაბადებულნი ახალგაზრდანი, მათ შორის: კ. სტურუა, ი. თაყაიშვილი, თ. ჩხენკელი და ზ. კელია, რომელნიც მშვენივრად ასრულებდენ თავიანთ როლებს.

ეს კულტურული საქმე უეჭველად დახმარების და გამხმნეების ღირსია.

ორი ძმა კობახიძე

ქართულ სათვისტომოს მიერ მოწყობილ მობს ხის დღესასწაულზე მონაწილეობდენ უკვე სახელმომხვეჭილი მოცეკვავენი ძმები კობახიძენი, მათ შესანიშნავად შეასრულეს მთიულური და ქართული ცეკვები.

გერმანიაში

მიუნხენში დაარსდა ცენტრალური კავშირი უსამშობლო უცხოელებსა, რომელთა რიცხვი 400.000 აღემატება. კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ ერთხმად არჩეულ იქმნა ჩვენი თანამემამულე ბ. ა. კორძია.

რედაქციისაგან

ჩვენი ჟურნალის მომავალ ნომერში მოთავსებული იქნება ბ. მ. მიხეილ თარხნიშვილის წერილი იტალიის არქივებში და წიგნსაცავებში მდებარე ქართულ ხელთნაწერებზე და დაბეჭდილ წიგნებზე, რომელნიც იმვითა და უპაღრესად საინტერესო მასალას წარმოადგენენ.

†

მწუხარებით ვაუწყებთ ქართველ საზოგადოებას, რომ პარიზში გაჩნდა ცვალია **ლევან მამულაიშვილი**. განსვენებულს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საქმიანდმი მისი საქმის ცხოვრების დროს.

†

„ბედი ქართლისას“ რედაქცია უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს **სიმონ წერეთლის** გარდაცვალების გამო, ამ უპაღრესად კეთილშობილ მხედრისა და საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლისა.

†

„ბედი ქ.“ გამოსთქვამს მწუხარებას **ზაქარია ჩიჩუას** გარდაცვალებს გამო. ამ მხურვალე პატრიოტმა დიდი შრომა გასწია შესაქრებად ემიგრაციაში გამოსული ბეჭდვითი ლიტერატურისა და იმვისათი არქივი შექმნა.

„ბედი ქართლისას“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ბ. ბ. ი. ჯავახიშვილს და გ. მალალაშვილს მათი დისა და დედის **ელენე მალალაშვილი - ჯავახიშვილის** ტფილისში გარდაცვალების გამო.

უპრნალის ფონდი

შემოსწირეს: მერაბ კვიციანი — 22.000 რ., ამერიკიდან ი. კობახიძის საშუალებით 2.400, ფრ., სპარსეთიდან ქ. ს. საშუალებით — 2.000, ზ. მ - მა — 1.800, ვ. გაბელაშვილი — 1.000, მ. ჩუბანიძემ — 1.000, შ. გიორგაძემ — 1.000, ლ. კერესელიძემ — 5.00, ა. გამსახურდიამ — 500, ა. ფანჯულიძემ — 500.

სულ — 32.700 ფრ.

„ბედი ქართლისა“ უღრმეს მადლობას უცხადებს თავის მკითხველთ, რომელნიც შეძლების მიხედვით დახმარებას უწევენ ჟურნალის არსებობას. განსაკუთრებულ მადლობას უძღვნი ბ. **მერაბ კვიციანს**, რომელიც ჟურნალის დაარსებიდან თვისი არა მდიდარი ჯიბიდან უდიდეს დახმარებას უწევს მას. ბ-ნი მ. კვიციანი ბავშობიდან მოწყვეტილი შრომობიური კუთხეს, აღზრდილი უცხო საზოგადოებაში, შინც ახლოს არის ქართულ საქმიანობასთან, მუდმივ კავშირშია თანამემამულეებთან და მართლ მის შინ ხარობს მისი გული და სული, როდესაც ქართველებს ჰხედავს და მათთან არის.

ნინო სალია.